1

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეუერთდით!

ახალი სოფელი

68





მიიღება ხელისმოწერა

ფლო-საგლეხო ჟურნალზე

„ახალ სოფელზე“.

ჟურნალში დაიბეჭდება

საბჭოთა და გარეშე ქვეყნების ამბები, სოფლის მეურნეობაზე, კოოპერაციაზე, სახალხო ჯანმრთელობაზე და განათლებაზე, დაიბეჭდება საუკეთესო პოეტების ლექსები და მოთხრობები და ბევრი

სასარგებლო ცნობები

გლეხებისათვის

ჟურნალი ღირს 6 თვით 1 მან. 10 კაპ.

ერთი წლით 2 მან. 10 კაპ.

ცალი 20 კ.

მისამართი: ტფილისი, ვოლოდარსკის ქუჩა, № 11, „ახალი სოფელი“.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

სასოფლო-საგლეხო ჟურნალი

№ 1 ტფილისი, სექტემბერი 1925 წ.

შინაარსი: ახალი სოფელი—**რედაქცია.** მინდორზე. მწყემსის სიმღერა—**გ. ქუჩიშვილი.** სოფლის სურათები—**ნარიანელი.** საქართველო როგორც სოფლის მეურნეობის ქვეყანა—**კ. ბერეკაშვილი.** როგორი ხასიათის წერილები დაიბეჭდება ახალ სოფელში. როდის, რა სიღრმეზე და რა იარაღით სჯობია დასავლეთ საქართველოში მიწის დახვნა—**აგრ. გ. ჯაფარიძე.** ტყეში—**გ. ქუჩიშვილი.** რა არის კოოპერაცია—**ნ. თხინვალელი.** თვალით უხილავი ჩვენი მტერ-მოყვარენი. კოლო—ანოფელესი და ციებ-ცხელება—**ე. ელიაშვილი.** რა ამბებია სხვა ქვეყნებში.

„ახალი სოფელი"

У 909

აგერ რვა თვე შესრულდა, რაც გამოდის გაზეთი **„ახალი სოფელი"**. ეხლა ჩვენ ვიწყებთ იმავე სახელწოდებით ჟურნალის გამოცემას ჩვენი გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდის, ჟურნალი კი თვეში ერთხელ დაიბეჭდება.

რა მიზანს ისახავს ჟურნალი **„ახალი სოფელი"**, ვისი ინტერესების დასაცავად იმუშავებს და რა საქმის გაკეთებას შეუდგება ის?

ჩვენი ჟურნალის მისწრაფება და მიზანი იგივეა, რაც გაზეთი **„ახალი სოფელი"**-ს.

მაშ, რაღა საჭირო იყო ჟურნალის გამოცემა, როდესაც გაზეთი უკვე არსებობსო, იქნებ იკითხოს ვინმემ.

გაზეთს თავისი საკუთარი დანიშნულება აქვს.

გაზეთი ვერ დაიტევს იმდენ მასალას, რამდენსაც ჟურნალი. ეს ერთი.

გარდა ამისა, გაზეთის მთავარი ყურადღება არის მიქცეული **ყოველდღიური საკითხების** წამოყენებისა და გადაჭრისაკენ.

ჟურნალიც, რასაკვირველია, ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამის გამომსახველი იქნება, მაგრამ აქ,—ჟურნალში—ჩვენ ვეცდებით წამოვაყენოთ **ძირითადი საკითხები** და უფრო ღრმათ დასაბუთებული პასუხი გავსცეთ ჩვენს მკითხველებს ამ საკითხების შესახებ.

ჩვენის აზრით, ეს არამც თუ შესაძლებელია, ეს **მეტის-მეტად საჭიროა ჩვენი გლეხობისათვის.**

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა დიდი საბჭოთა კავშირის წევრია. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც დამყარებულია ყოფილ რუსე-

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ... ბიბლიოთეკა-მუზეუმი Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук Грузинской ССР

თის იმპერიის საზღვრებში, ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც განხორციელებულია მუშებისა და გლეხების ძალა-უფლება.

სხვაგან, დანარჩენ ქვეყნებში, ჯერ კიდევ ბურჟუაზია მეფობს და ბატონობს. იქ მუშებსა და გლეხებს ჯერ კიდევ საშინელი მონობის უღელი ადგიათ კისერზე. არასოდეს მუშებისა და გლეხების მდგომარეობა იქ ასე არ ყოფილა გამწვავებული, როგორცაა დღეს—საერთაშორისო ომის შემდეგ.

ბურჟუაზია დიდი ხანია ილესავს კბილებს ჩვენზე. ის ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ როგორმე წააქციოს და მოსპოს საბჭოთა ხელისუფლება. ის არავითარ საშვალებას არ ერიდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიზნისათვის ვერ მიუღწევია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის ამ მიზანს ვერასოდეს ვერ განახორციელებს.

ჩვენს შორის სასტიკი ბრძოლაა.

ეს ბრძოლა, მართალია, ყოველთვის ღიათა და აშკარათ არ სჩანს, მაგრამ, ვინც საქმეს ჩაუკვირდება, ადვილათ დაინახავს, რომ ჩვენი მტრები არც ერთ დღეს არ აცდენენ. არცერთი წუთი არ გაივლის ისე, რომ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე ახალი მახე არ დააგონ, ახალი ხრიკი არ გამოიგონონ.

არც ჩვენ ვზივართ გულხელდაკრეფილი. ჩვენც ყოველ წუთსა და ყოველ წამს იმის მეცადინეობაში ვართ, რომ მტერმა მოხერხებული დრო არ გვიშოვოს და თავს არ დაგვესხას.

ჩვენც ვემზადებით, მაგრამ ჩვენი მზადება სულ სხვანაირია, ვიდრე ჩვენი მტრების.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩვენი დაჯაბნებისა და მოსპობის იმედს თავის ზარბაზნებისა და ტყვიის მტყორცნელებზე ამყარებენ. ჩვენც ვემზადებით, ჩვენც იარაღის წინააღმდეგ იარაღს ვიხმართ.

მაგრამ ჩვენ უმთავრეს ყურადღებას სულ სხვა რამეს ვაქცევთ.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დამარცხება ჩვენი მტრებისათვის მით უფრო ძნელი იქნება, **რაც უფრო კარგათ ვიქნებით ჩვენ შეიარაღებული შეგნებით.**

ჩვენ ვიცით, რომ შეგნებულ მუშასა და გლეხს ვერავინ ვერ დაადგამს კისერზე მონობის უღელს. გარდა ამისა, ჩვენი მტრებისათვის მით უფრო ძნელი იქნება ჩვენი დამარცხება, რაც უფრო **მომძლავრებული იქნება ჩვენი მეურნეობა.**

ღარიბსა და მშიერს ყველა ადვილათ დაიბრიყვებს.

ჩვენ ვცდილობთ ფეხზე წამოვაყენოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა, ავსწიოთ მისი განვითარება უმაღლეს წერტილამდე.

ასეთია ჩვენი მზადება.

ამ საერთო მზადებაში ჩვენს ჟურნალსაც აქვს თავისი წილი მიკუთვნებული.

შეუძლებელი და წარმოუდგენელია მეურნეობის აწევა და განვითარება ისე, თუ ჩვენს სოფელში არ შევიდა შეგნება.

ჩვენი სოფლები ჩამორჩენილია. ახალი ცხოვრების ელფერი ჩვენ სოფელს ნაკლებათ ეტყობა. მართალია, დღეს სოფლის კაცს აღარ აწუხებს გზირი და მამასახლისი, მღვდელი დრამის ფულს აღარ ახდევინებს, მაგრამ ეს ცვლილება უფრო გარეგნულია, ახალ ცხოვრებისათვის ჩვენს სოფელს აკლია მომზადება და შეგნება.

ჩვენში ჯერ კიდევ არა აქვს სოფლის ადამიანს გათვალისწინებული, თუ რის გაკეთება და შესრულება შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეხლა ხომ მთელი ძალა-უფლება მუშებისა და გლეხების ხელშია. ჩვენი სოფელი უნდა ახალ ცხოვრების გზას ეწიოს, თვით **სოფელიც ახალი** უნდა გახდეს.

„ახალი სოფელი“ ჩვენი სოფლის ახალი გზის მაჩვენებელი და მასწავლებელი იქნება.

აქ საჭიროა კიდევ ერთი რამის გახსენებაც. სოფლად და ქალაქებშიაკ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ოხერი და არამზადა, რომელიც ათასგვარ ხრიკებით და თაღლითობით შეძვრება ხოლმე სხვადასხვა საქმეში. ზოგი მათგანი პარტიაშიაც კი ახერხებს მოკალათებას. ისენი, რასაკვირველია, გლეხების და მშრომელი ხალხის სასარგებლო საქმეს კი არ აკეთებენ, არამედ ყოველ ღონისძიებით აფერხებენ და ხელს უშლიან საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას. არც ამ არამზადებს დაინდობს ,,ახალი სოფელი'', ყოველი ღონისძიებით, დაურიდებლათ შეებრძოლება ჩვენი ჟურნალი სოფლის შემწუხებლებს.

ჩვენ მოუწოდებთ ყოველ შეგნებულ გლეხს, თვითეულ სოფლათ მომუშავე ამხანაგს, ხელი შეუწყონ **,,ახალ სოფელს''** მასალების მოწოდებაში და გავრცელებაში.

მხოლოდ თქვენი დახმარებით შესძლებს **,,ახალი სოფელი''** თავის მძიმე და რთული მიზნის პირნათლად შესრულებას.

რედაქცია.

მინდორზე

ცის შუა გულზე დაკიდებული
მზე დიდებული სწვავდა ქვეყანას
და დედა-მიწაც ალ-მოდებული
ალაპლაპებდა ქარვისფრად ყანას.

ტრიალ მინდორზე, დიდ ჰანდრის ჩრდილში,
შესასვენად და საგრილებელად,—
იწვა მომკელი და ლამაზ ძილში,
ლამაზ სიზმრებში ოხრავდა ნელად.

იწვა გულ-აღმა შრომისა შვილი,
საკინძ გახსნილი, მკერდ-განიერი;
ეძინა ტკბილად და სიო გრილი
უალერსებდა მთის მონაბერი.

ამ დროს მოფრინდა ქედანი წყნარი,
ჩამოჰღუღუნა ხმა-ნაღვლიანად;
და ის ღუღუნი, ნაზი, ნარნარი,
ყურში ჩაესმა მშობლიურ ნანად.

მზე მშვენიერი, მზე დიდებული,
დასავლეთისკენ გადაიხარა;
იშვა ნიავი აგრილებული
და ჰანდრის ფოთლებს შემოუარა.

გამოეღვიძა მადლიან მშრომელს,
მზე აღარ სწვავდა სოფელ-ქვეყანას;
წამოხტა ზეზე, ვეფხვივით მალი
და ნამგლით ხელში ეკვეთა ყანას.

მწუხრის სიმღერა

როცა მზე ამოიმაღლებს
მოკრიალებულ ცაზედა
და მისი სხივთა ლეჩაქი
გადაიშლება მთაზედა,—
მეც ჩემს წკრიალა სალამურს
ვაკვნესებ ციურ ხმაზედა.

ცხვარი სძოვს ცვრიან ბალახსა
და სალამურიც წკრიალებს;
თუ მტერი შემომეპარა
ხანჯალსაც დავატრიალებ,
მტაცებელ მხეცსა და ნადირს
მოვსპობ და გავატიალებ.

ვიშ, დაუბერა ნიავმა,
ტყემ ნაზათ დაიშრიალა,
დაირაკრაკა ტოროლამ,
ღრუბლებში შეისრიალა,
ბულბულმა ჩანგი მომართა,
ქედანმაც დაიფრთხრიალა
აჟღერდა ცა და ხმელეთი,
როგორც ფანდური წკრიალა.

ცხვრებო, რა ლამაზები ხართ,
შეფენილებო მთაზედა;
ასე მგონია ბადალი
არვინ მყავს ქვეყანაზედა.

დაუკარ ჩემო ერთგულო,
შენ, სალამურო, წკრიალავ;
დამქროლე გრილო ნიავო,
ამღერდი წყაროვ ჩხრიალავ,
გულს ჯავრი გადამიყარე,
ტყეო, ხასხასავ, შრიალავ.

დაუკარ, ჩემო ნუგეშო,
დაიმსხვერ ციურ ჰანგებათ;
შენ მყევხარ სატრფოდ გულისად,
ცხვრები კი ამხანაგებათ.

გ. ქუჩიშვილი.

სოფლის სურათები.

1. „ლაზარე".

საშინელი და აუტანელი გვალვა დაატყდა სოფელ ნარიანს. მომსწრეები ამბობდნენ, რომ ასეთი სიცხე-პაპანაქება ჩვენს ხსოვნაში არა ყოფილაო.

ხასხასა, მწვანე მინდვრები ისე ჩაყვითლდა, ისე ჩაჭკნა, რომ ადამიანს გულს მოუკლავდა, ნარიანის ბაღჩები ხომ განთქმული იყო მთელს ძიროობაზედ, მაგრამ წყაროები დაშრა და სიცხეს ისე მოეთუთქა, თითქოს გოგირდი ზედ გადუსხიათო.

ბუნების სიცოცხლე მოიშალა. ტყესა და ველს აღარ აჟრიალებდენ კისკისითა და სალამურით მწყემსი ბიჭები. ერთად-ერთი ფოლადაურის ხევი, რომელიც შუა სოფელში ჩამოდიოდა, ისე დალეულიყო, ისე მიკარგულიყო, რომ სველი ქვიშის ნასახურით თუ-ღა მიაგნებდი იმის კვალს.

კაცი, საქონელი, ბალახი და ყოველივე მისჩერებოდა უღვთო ცას, მრისხანესა და შეუბრალებელს, რომელიც ჯიბრზე მოკრიალებული იყო.

— გვაღირსე ნამი.

— დაგვადინე ცხოველი ცვარი!

მაგრამ ცა აჭერდა მზეს, გახურებულს სპილენძის ტაშტივით.

შველა არსაიდან...

ნამი არსაიდან...

შეირყა სოფელი. შეტორტმანდა. კვირა დღე იყო. კოოპერატივთან ისმოდა ყაყანი. ახალგაზდა კომკავშირელი თამაზი დადგა ქვაზე და დაიწყო:

— ამხანაგებო, ხალხო, ჯამაათო!

ჩვენი შველა არსაიდან არი. ცას რომ შეჰყურებთ, თქვენა გგონიათ იქ ვინმე ისმენს თქვენს მუდარას? დროს ნუ კარგავთ, გონს მოდით. ისევ სჯობია ჰკვა გამოვიფხიზლოთ და მექაურის დიდი წყარო ტყეში რო უხმარად იკარგება, ის ჩამოვიყვანოთ და მოუნაკადოთ ჭინახულსა თუ ბოსტნებს. ხალხი აჩოჩქოლდა. ასტყდა ისეთი ჟრიამული, რომ ვერაფერს გაიგებდი. მაგრამ კაცი გაარჩევდა რომ ხალხი ორ ჯგუფათ გაიყო. ერთი ჯგუფი თამაზას მიემხრო და დაადგინა: კომლზე კაცი წავიდეს საბეგრო მუშაობაზე და მექაურის წყალი, რომელიც სოფელს დაშორებულია სამი ვერსით, ჩამოიყვანოს.

მეორე ჯგუფმა, რომელსაც ძველი მედუქნე მიკიჩა მეთაურობდა, გადასწყვიტა, ხვალვე შეეყაროს დედაკაცობა და ,,ლაზარეზე'' ჩამოიაროს.

— როგორც გვიწირია, ისე ვწიროთ! შვილოსა, რა, იქ რო არ ჩავიხოცნეთ, ხო იცით რა საჯანდაბო მუშაობაა, არ სჯობია, რომ ,,ლაზარეს'' ვთხოვოთ, პატარა ,,სახვეთო'' გავმართოთ და აბა ენახოთ, თქვენ ადრე ჩამოიყვანთ წყალს, თუ ჩვენ ადრე მოვიყვანთ შხაპუნა წვიმას.

ყრილობა დაიშალა. მიკიჩას ჯგუფი შეუდგა საღვთოსათვის ფულისა და სანოვაგის კრეფას, თამაზა კი იწერდა მუშა ხელს, ვინც ხვალიდან უნდა შესდგომოდა ბექაურის წყალის ჩამოყვანას შუა სოფელში.

ეროი ჟრიამულია სოფელში. თორმეტ-ცამეტი დედაკაცი ,,ლაზარეთი'' მოედო სოფელს და გაჰკიოდა:

,,ახ ლაზარე, ლაზარე,
ლაზარ მოდგა კარსა.
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა,
აღარ გვინდა გორახი
ღმერთო და...
მოგვე ტალახი!"

ყოველი სახლიდან სურებითა და კოკურებით წყალს ასხამდენ დედაკაცების ჯგელგას. ეს იმის ნიშნად, რომ ასეთი კოკისპირული და შხაპუნა წვიმა მოვიდეს.

დედაკაცებმა გაათავეს ,,ლაზარეს'' წესი. სოფლის ჰანდრის ქვეშ კი ჩვენი მიკიჩა და რამდენიმე ,,ჰამია'' დაკარწახული ხელებით ტრიალებდნენ და ცხვრებს ატყავებდნენ, საღვთოს ამზადებდნენ:

— აბა, ბიჭო, ამას რა სჯობია. ჰამაც კაი პურ-მარილის მიღება, ჰამაც ლაზათიანი წვიმა. ვა, ის ბემურაზი ხალხი კი ამ სიცხეში წერაქვითა და ნიჩფით დასდგომია იმ კლდესა და გორახს. ღმერთი არაარის..?

იქვე ტრიალებდა სოფლის რამდენიმე ,,ჰამპურა'', ყოფილი მამასახლისი, მწერალი და ნატარასტალი, რომელიც განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ლაზარეზე.

— ღმერთმა აცხონოს ლუკა ღვდელი. მართლაც იშვიათი იყო, რო ,,ლაზარეს'' პარაკლისი ეხადა და წვიმა არ მოსულიყო.

ღმერთი არ არიო! მაგისთანა უღმერთოებისა და ,,რაზბონიკების-თვინ'', არ არი ღმერთი, აი როგორც ეს ღლაპი თამაზაა!

— ვა, ძაან არ წამოაჯდა სოფელს ეგ წუწკი! სად არის ის დრო, როცა მაგისი ქვრივი დედა ნახორხმალებით და მოწყალებით შეგროვილი ლუკმით არჩენდა მაგ არამზადას! —დასძინა ყოფილმა მწერალმა ეგნატემ და მსუნაგი თვალით მიჰხედა დაკაფულ ცხვარს.

— ანტიკაა, რაღა ანტიკა! ყვიროდა მიკიჩა. ვაი, სად არის ჩემი დუქანი! გახსოვს, ნუგზარჯან, ჩვენი ოინები და მიუბრუნდა მამასახლის...

საღვთომ კარგად ჩაიარა. აუარებელი ხორაგი მოეტანა სოფელს. მაგრამ სუფრის მსუქან ნაწილს მიკიჩა და მისი კამპანია დაჰპატრონებოდა და წინანდელ სუსხს აგრძნობინებდნენ გლეხკაცობას, რომელიც ხმელ პურს ლოღნიდა და ხახვსა და ნიორს ატანდა. იშვიათად თუ უწყალობებდა მათ საჭმელსა და ღვინოს ,,ჭამიების'' კამპანია. მაგრამ წვიმა კი არა, ცაზე ღრუბლის ნასახი არა სჩანდა...

— არ შეისმინა ლაზარემ, არ შეიბრალა სოფელი, ცოდვამ იმრავლა გენაცვათ, ხატი დავივიწყეთ და ჯვარი, სალოცავები დავკარგეთ და ნათლი-მირონობისა აღარ გაგვეგება—წუწუნებდა ბაბალე მკითხავი.

— ახია, ჩვენზედ ახია! —უერთებდნენ ბანს დანარჩენებიც.

— ის ჯვარი რო მოაგლიჯეს ეკლესიას, რატო ის გასახმობი ხელები არ გამოიღეთ და კეტებით არ ეცით იმ ურჯულოებს! —ცეცხლს უმატებდა ბაბალე და გადაკრულს ხალხს აგულიანებდა... მიკიჩას კამპანია კი ,,ნოეს'' სიმღერას ღრიალებდა...

— ლაზარეჯან, შენ გენაცვალოს ჩვენი თავი. ძმაო ლაზარე! შენ იცი და შენმა კაცობამ! რა უყოთ რომ ეხლა წვიმა არ მოგვიყვანე. გეტყობა გაგაჯავრეთ. გვაპატიე ლაზარეჯან. კიდევ გაგიკეთებთ საღვთოს, კიდევ... გენაცვალოს მიკიჩას სიყმე. იცოცხლე ლაზარეჯან, ღმერთმა გაცოცხლოს ლაზარეჯან! —იძახდა ფაშვ-გადმოვარდნილი ნამედუქნარი მიკიჩა. თან ცას შეჰყურებდა და თან სავსე ჯამსა სცლიდა ლაზარეს სადღეგრძელოდ...

წვიმა მაინც არ მოვიდა. საღვთომ ტყუილად ჩაიარა (მიკიჩას მუცელს უწირეს), მაგრამ ზორბად გადაკრულებმა ქიტესამა და ლექსამ ხან-

ჯლებით დასჭრეს ერთმანეთი და სამ-სამი თვე ლოგინში გააცდინეს საუკეთესო დრო მუშაობისა...

თამაზა და მისი ამხანაგები კი წერაქვითა და ნიჩბებით, ცულითა და წალდით იდგნენ დაოფლიანებულები იმ სიცხეში და წყალი გამოჰყვანდათ...

გუშინ ნარიანელი გლეხი ჩაჩიკა მეწვია და მეტად სასიხარულო ამბავი გადმომცა: თამაზას ჯგუფს თავისი გაუყვანია. დაუღალავი ჯაფით და ზოგიც ხელისუფლების დახმარებით ბექაურის წყალი სოფლამდე ჩამოუყვანია. მიკიჩას ჯგუფიდანაც თითქმის ყველანი გადასულან თამაზას მხარეზე და ამას მუშაობა უფრო დაუჩქარებია. მიკიჩა და მისი ამფსონები კი ჯავრით სკდებიან...

ნარიანელებმა შემომითვალეს ჩაჩიკას პირით, რომ მეც დავესწრო კვირას მათ ზეიმს, მექაურის წყალის გახსნას. დიდი სიამოვნებით ვიღებ მათს დაპატიჟებას. მინდა ჩემის თვალით ვნახო, თუ პირველი ნაკადული როგორ სრიალით შევარდება ნარიანის ჩამჭკნარ ბოსტნებში...

2. ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ.

სალამო ხანია. ოთხი ხანშესული კაცი სოფლის განაპირას ქვებზე სხედან და ტკბილათ საუბრობდენ:

გთხოვ, მკითხველო, გაიცნო ეს ხალხი, მით უმეტეს ამათი სახელი არის ,,ყოფილი'' ,,ნაკაკარი''. იყვნენ ერთ დროს და ეხლა აღარ არიან. გავა ათიოდე წელიწადი და მათ დროს ველარავინ წარმოიდგენს.

შუაში ზის ყოფილი სტრაჟნიკი გძელი ულვაშებით, თავმოპარსული. ამისი სახელი სოფელში ,,ციმფიაა''... მეტად საშინელი იყო ეს ,,ციმფია''. ამ სახელის გაგონება ყველას თავზარსა სცემდა, განსაკუთრებით ახალგაზდა ქალებს, რომელნიც სალამო ხანზე მისი შიშით კარში ველარ გამოდიოდნენ. რამდენი პატიოსანი ქალწულისათვის დაუღუპია სიცოცხლე, რამდენი ცოდვა ადევს კისერზე...

სოფელში ეხლაც იგონებენ მისი მათრახის სუსხს...

— ოჰ, რა დაუზოგავი იყო ეს შეჩვენებული! იტყვიან ხოლმე ხშირად. მაგრამ ,,ციმფია'' იმის ციმფიაა, რომ იცის, სად როგორ უნდა მოიქცეს. იმნაირი ტკბილი კაცი დღეს მთელ სოფელში არ არის. სალამს ვერ დაასწრობ პირდაპირ თაფლათ დნება.

მის გვერდით ჩიბუხს აბოლებს ყოფილი მამასახლისი ,,ტკიპა''. ეს ტკიპი აჯდა სოფელს კისერზე და მის სისხლს სწოვდა ხარბად დიდი ხანის განმავლობაში. ტკიპი იბერებოდა, ივსებოდა, სწორედ გასკდომაზე იყო დამდგარი, მაგრამ...

დასწყევლოს ღმერთმა რევოლუცია...

მელიასავით წაგრძელებია კისერი ვასილა მწერალს, რომელიც ორ სიტყვას არ იტყვის, რომ არ დაატანოს ,,ღვთის წინაშე''.

— ღვთის წინაშე და კაი ბურვაკი ყავს ქიტესას!

ღვთის წინაშე კაია კაი სველი ხელადა და ასე.

ამიტომ სოფელში მას ,,ღვთის წინაშე''-ს ეძახოდნენ.

მართლადა, ღვთის წინაშე რო ვსთქვათ, კაი დრო დაკარგა ვასილა მწერალმა. მაგნაირი არზის შედგენა არავინ იცოდა.

— ქვას გახეთქს, ქვას, მაგრამ შენ მანამდი კაი ცივი დედალი დაამზადე — ეტყოდა მთხოვნელს, მაგრამ მთხოვნელებმა თითონ იცოდნენ, რომ ვასილა ცივი დედალის მუსუსი იყო და ეტყოდნენ.

— აბა ვასილაჯან, თუ კაი ცივი დედალი გინდა და ზედ წითელი ღვინო...

ასე ნეტარებაში, განცხრომაში მიდიოდნენ დღეები, თვეები, წლიწადები.

მაგრამ ეს სოფელი ,,ნეტავ დიდხანს ვისმეს ახარებს?..''

დღეს ვასილა არც ისე დაკარგულია, გაძვრა-გამოძვრა, მართალია, ცივ დედლებს ველარ შოულობს, მაგრამ კოოპერატივში კი ამოყო თავი და ,,საწყლურად'' ცხოვრობს, როგორც თითონ იტყვის ხოლმე.

ვასილას ქვემოთ ზის ბაგრატა ტარასტა. მაგრამ რა დააშავა ბაგრატამ. არავისთვის იმას არ უწყენინებია, არავისთვის მათრახი არ დაუკრამს. ერთი იმისი ცოდვა ის იყო, რომ უყვარდა ტაბლა. ტაბლის ქათამს, ტაბლის ცხვარს, ტაბლის ღვინოს იმისთვის სულ სხვანაირი გემო ჰქონდა.

— რა დრო იყო და რა დროა, იტყვის ხოლმე ვასილა. აი გემო მაშინ იყო, თორემ ეხლა რა არი... და მწარედ ჩაჰკიდებს თავს... ლაპარაკი სულ არ უყვარს ვასილას, ან რაზე უნდა ილაპარაკოს. წინ რო კარგად შეკაზმული ტაბლა ედგას, გაგიხარიან რო ის აჭიკჭიკდეს... მაგრამ ეხლა რა...

— კაცო და,—დაიწყო ვასილა მწერალმა,—გუშინ რო საქორეთში ვიყავი კოოპერატივის საქმეზე—ვნახოთ და ცხენდაცხენ ჩაჰოაჭენეს ქალაქიდან მოსულმა კომუნისტებმა. საჩქაროდ ცხენები ბოძებზე მიაბეს და კამისართან ავარდენ. იქ იმათ კარები ჩაიკეტეს და მთელი ხუთი საათი ილაპარაკეს.

— ჰო და კი არ გამცეთ ღვთის წინაშე და—აქ ვასილამ ხმა დაუწვრილა—მე ნამდვილად გავიგონე, რომ ისინი ამბობდნენ:

— ბათუმში ანგლიჩანები მოვიდნენო. ძალიან ფინთათ არის ჩვენი საქმეო—ამ სიტყვებზე დანარჩენებმა ყურები წაიგძელეს...—ეხლა ეცადენითო ხალხმა არაფერი შეგატყოთო და კაი სამალავები იშოვეთო; თორემ ჩვენ ჩვენი თავი გაგვჭირებიაო.

— აგრემც გიშველის ღმერთი! დაიღრიჯა ბაგრატა.

— ცოლშვილი გამიწყდეს, თუ გატყუილებდე!

— ეგ რა გინდა, ქალაქიდან მოსული კაცი ვნახე.

— დიდი ჩოჩქოლიაო ქალაქში. მიდიანო, მიდიანო. დიდი და პატარა ასე ამბობს თურმე.

— ოღონდ მართალი იყოს ეგ ამბავი და ვაჟკაცი არ ვიყო, თუ ერთი კვირა დუდუკით არ გაქეიფოთ. უკანასკნელ ხარს გავყიდი მე და ჩემმა ღმერთმა, უკანასკნელ ფქვილს გამოვიტან... მღელვარებით წარმოსთქვა ტკიპამ...

— რუსეთშიაც დიდი არეულობააო—გათამამდა ვასილა—ხემწიფე კიდეც დაუსვამთო. ისევ ისე მამასახლისობააო. ხემწიფეს შეუკრეფია მილეთის მამასახლისები, სტრაჟნიკები, მწერლები და ყველასთვის მენდლები დაუკიდიაო.

— განა არა იძახის ციმფია—ჩვენი კამისარი ცოტა შეფიქრიანებულია. ისე დალვრემილი დადის, რომ სალამსაც აღარ იძლევა.

— ჰე, ჰე—ვინ იცის თაგვის სოროს ეძებს—ხარხარებენ ოთხივენი.

მზე ჩადის. საღამოს ნიავი ახმაურდა. ოთხივენი ქანდაკებასავით დგანან და ოცნებას მისცემიან. რაზე ფიქრობენ: გემრიელ ვახშამზე თუ „ხემწიფობის" დაბრუნებაზე...?

ნარიანელი.

საქართველო, როგორც სოფლის მეურნეობის ქვეყანა.

საქართველოში მიწა-წყლის და ჰაერის პირობები სხვადასხვანაირია და სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი ვარგობს.

ძნელია ისეთი მცენარის ან ცხოველის დასახელება, რომელსაც არ შეეძლოს ჩვენში სამშე ბუნებრივ პირობებში ვარგება და ცხოვრება.

ჩაი, მანდარინი, ვაზი, ზეთის ხილი, ბროწეული, ყოველგვარი ყვავილი, ბზა, კედრი, ფიჭვი, ურთხველა... ხოხობი, ირემი, ვეფხვი... ძნელია ყველა იმ ძვირფასი მცენარის და იშვიათი ცხოველის ჩამოთვლა, რაც ჩვენს მთებსა და ველში ბლომათ არის.

შეზავებული ზომიერი ჰაერი, მშვენიერი მზის უხვი სითბო და სინათლე, მოკლე და ნაზი ზამთარი, თიხნარ-ქვიშნარი მიწები, შიგადაშიგ ნიადაგებში წვრილი კაჭარი, რიყის და კირის ნარევი, ალაგების სხვადასხვანაირი მოყვანილობა—ეკეები და ფერდობები, გორაკები, მთები უმაღლესი მწვერვალებით, აუარებელი მდინარეები, ღელეები, წყაროები, ზღვა—აი უმთავრესად ჩვენი ქვეყნის ბუნების პირობები, რომელთა მიზეზით საქართველოში ვარგობს ცხელი ქვეყნის ძვირფას მცენარეულობასთან ერთად მთის და ცივი ქვეყნის მცენარეულობაც.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოში ხელი მოჰკიდეს **ჩაის, მანდარინის და ბამბუკის** მოყვანას. საამისო მიწები ჯერ კიდევ ძალიან ბევრია თავისუფალი; ძვირფასი მცენარეულობის ნარგავები თანდათან ფართოვდება და ეს წარმოება ეკონომიურათ ჩვენს ქვეყანას გვარიანად დაეხმარება.

ჯერ-კიდევ მანდარინის, ჩაის და სხვა წარმოებას არ აქვს მრეწველობითი ხასიათი.

სხვა ქვეყნებში—**ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში, იტალიაში** და სხვაგან ჩაის, მანდარინის, ლიმონის და სხვა ძვირფასი მცენარეულობის მოყვანით ხალხი ბევრათ უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ჩვენში. მაგრამ ეს დროებითია ჩვენში. ჩვენს წარმოებას ის უპირატესობა აქვს, რომ მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ საქართველოში მოდის ჩაი, მანდარინი დ სხ.; რამდენიც უნდა მოვიყვანოთ, ნაწარმოებისათვის ყოველთვის ფართო ბაზარი გვექნება.

მაშასადამე, სადაც კი შეიძლება ჩაის, მანდარინის და სხვა ძვირფასი მცენარეულობის მოყვანა, ჩვენს გლეხობას უშიშრად შეუძლია ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს.

საქართველო უხსოვარი დროიდან ცნობილია, როგორც **ვაზის ქვეყანა**. ჩვენს საუცხოვო ბუნებრივ პირობებს და ხალხის შრომას შეუქმნია ვაზის აუარებელი ჯიშები; ბევრი მათგანი ისეთია, რომ იშვიათად შეედრება მას თვისებით და ხარისხით გარეშე ქვეყნების ვაზი

საქართველოში დღეს დღეობით დაახლოვებით 50 ათასი დესეტინა ვენახი ითვლება. მაგრამ ეს სივრცე შეიძლება ერთი ხუთად და მეტად გადიდდეს,

რადგან ბევრია ჩვენში სავენახე მიწები, სადაც ვაზის გაშენება გლეხს ხეირს მისცემს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ საბჭოთა კავშირში ვენახების სივრცით და ღვინის ხარისხით დღეს დღეობით საქართველოს პირველი ალაგი უჭირავს. საბჭოთა დიდი კავშირი ძლიერ ფართო ბაზარს წარმოადგენს ღვინის გასასაღებლათ; მაშასადამე, გლეხობას შეუძლია გააფართოვოს ვენახების სივრცე.

ღვინოების დაყენება ბევრნაირის შეიძლება ჩვენში; გამოდის სუფრის ღვინოები საუკეთესო, არის ალაგები, სადაც შეიძლება მაგარი და ტკბილი ღვინოების დაყენება, შამპანიური ღვინის კეთება, საუკეთესო კონიაკების მიღება. ეს კიდევ უფრო აფართოვებს ჩვენი ღვინისათვის ბაზარს.

ჩვენს მიწებზე **ხორბლეული** საუკეთესო მოდის. ჩვენს ქვეყანას საკუთარი ხორბლეულის ჯიშები წარმოუშვია. მართალია, დღეს საქართველოს საყოფი პურეული ვერ მოჰყავს ყოველ წელიწადს, მაგრამ პირობები ისეთი გვაქვს, რომ შეიძლება მოსავალის გადიდება. ცოდნის გარდა, ამ საქმეს წინ წასწევს სარწყავი არხების გამრავლება; ამისათვის კი ზედმეტია გვაქვს მდინარეები, რომელთა მოხდენილი მიმდინარეობა მოხერხებულია სარწყავი არხების გასაყვანათ.

ჩვენი **აბრეშუმის პარკი** მსოფლიოს ბაზარზედ ცნობილია, როგორც საუკეთესო ხარისხის. ჩინეთში, იაპონიაში, იტალიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში **მეაბრეშუმეობა** დიდათ არის განვითარებული და იქ ჩვენზე უფრო კარგათ იციან **აბრეშუმის** ჭიის მოვლა. ამისათვის ამ წარმოებით იქაურებს უფრო დიდი შემოსავალი აქვთ. ჩვენი გლეხობა ჯერ-ჯერობით სავსებით არ არის დახელოვნებული აბრეშუმის ჭიის მოვლაში, მაგრამ ბუნებრივი პირობები გლეხის შრომას იმდენათ ეხმარება, რომ პარკი საუკეთესო ხარისხის გამოდის. რამდენიც უნდა მოვიყვანოთ აბრეშუმის პარკი, გასაღება არ გაგვიჭირდება; აბრეშუმის პარკის მოყვანა კი ჩვენში ძალიან ბევრის შეიძლება, რადგან თუთის ხე (ბჟოლა) თითქმის ყველგან ვარგობს.

ჩვენებური მსხვილფეხა **საქონელი** მუშათ ვარგა; ხევსურული ძროხა ქებულია, როგორც მეწველი. რძე და მისი ნაწარმოები გამოდის საუკეთესო ხარისხის. ჩვენს მთებზე ხარობს საუკეთესო საკვები ბალახეულობა. ამ მხრივ ჩვენი საძოვარი ალაგები არ ჩამოუვარდებიან ქვეყნიერებაზე განთქმულ ალპიის მთების საძოვრებს. ცხვარი და სხვა საქონელი მთებზე პოულობენ საუკეთესო საკვებ მასალას, ჰაერს, წყალს და სხვა ისეთ პირობებს, რაც მათ ხდის ჯანსაღს და მათ ნაწარმოებს—მატყლს, ხორცს, რძეს და სხვას აძლევენ უმაღლესი ხარისხის თვისებებს.

ამ მხრივ ჩვენი საქონლის განვითარებას ფართო სარბიელი აქვს; გლეხს მესაქონლეობა მისცემს ბარაქას და შეიძლება გაბედულათ გაფართოვება ამ საქმის.

ხეხილისა და **ბოსტნეულის** მოსაყვანათ ზოგიერთი ალაგები ჩვენში შეუდარებელია; გორის მაზრაში ვაშლი მოდის, რომელიც ხარისხით არ ჩამოუვარდება ქვეყანაზე ცნობილ ვაშლებს. ქუთაისის მაზრაში არის ალაგები, სადაც ზამ-

თარ-ზაფხულს მოდის განუწყვეტლათ ბოსტნეული. განსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოში საადრეო ბოსტნეულის და ხეხილის მოსავალი. ვორის მაზრის ხილს და საადრეო ბოსტნეულს ბაზარი არ დაელევა. ამგვარი წარმოება გლეხისათვის უსათუოდ სასარგებლოა.

ყოველივე იმის წარმოება, რაც გარეშე ბაზარს ფართოთ მოიპოვებს, ქვეყანას ეკონომიურათ გაამაგრებს.

მეურნეობის უმთავრესი დარგების ჩამოთვლაც კი ძნელია, რაც საქართველოში ვარგობს და ხელსაყრელია ხალხისათვის.

ჯერ-ჯერობით არც ერთი მეურნეობის დარგი არ არის შესაფერისად განვითარებული და ამ მხრივ სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს.

ყოველი მუშაობის შესაფერისად შესასრულებლათ საჭიროა ცოდნა და გამოცდილება

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ზოგ გარეშე ქვეყნებში ჩვენზე უკეთესი მოსავალი მოჰყავთ და მეტი შემოსავალი აქვთ, იქ ციდან არაფერი არ ჩამოცვენილა; შრომით და გამოცდილებით მიაღწიეს წარმოების გაუმჯობესებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ პირობების გარდა სასწავლებლებს, აგრონომებს, საცდელ სადგურებს. ნამეტურ დიდია საცდელი სადგურის მუშაობის მნიშვნელობა. საცდელ სადგურზედ მიღწეული შედეგი ნამდვილია და საიმედო; საცდელი სადგურის გამოცდილებით გლეხს შეუძლია სრულის დარწმუნებით შეუდგეს ამა თუ იმ მეურნეობის დარგის გაფართოვებას. ზოგმა დაწინაურებულმა ქვეყნებმა ამ საფუძველზე ააშენეს თავიანთი დიდათ შემოსავლიანი წარმოება.

ჩვენს პატარა ქვეყანაში ჯერ-ჯერობით საცდელი სადგურები არა გვაქვს მოწყობილი, აგრონომებიც გვაკლია, სასწავლებლები ყველგან არ არის, მაგრამ ეს ისეთი რთული საქმეა, რაც ერთსა და ორ წელიწადს არ გაკეთდება.

საბჭოთა ხელისუფლება მტკიცე ნაბიჯით და გარდუვალი სურვილით ხელს უწყობს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს.

მეურნეობის უმთავრეს დარგებს, რაც უფრო სასარგებლოა ქვეყნისათვის დიდი ყურადღება აქვს მიქცეული; შედარებით ჩვენს სიღარიბესთან, დიდი თანხებია გადადებული საცდელი სადგურების მუშაობის საწარმოებლათ, ამრავლებენ აგრონომების რიცხვს, ხსნიან სამეურნეო სასწავლებლებს.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჩაისა და სხვა ძვირფასი მცენარეულობის მოყვანის გაფართოებას, აბრეშუმის პარკის წარმოებას, ვენახების აღდგენას და გაფართოვებას, ღვინის კეთების გაუმჯობესებას, გაჰყავთ სარწყავი არხები და სხვა.

ასეთი დიდი საქმიანობა იმ შემთხვევაში უფრო ადრე დააჩნდება ჩვენი მეურნეობის განვითარებას, როცა გლეხობა ერთიანის შეგნებით მიემხრობა წინსვლას, საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად გასწევს ხარჯს და მუშაობას და არც ერთი გლეხი არ დარჩება ისე, რომ დაახლოვებით არ გაიცნოს საცდელი სადგური, სკოლა, აგრონომი და ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს მის ცოდნას და შეგნებას.

კ. ბერეკაშვილი.

როგორი ხასიათის სასოფლო-სამეურნეო წერილები დაიგეგმება ჩვენს ჟურნალში

გლეხმა უნდა იცოდეს სოფლის მეურნეობა.

ბევრნაირათ შეიძლება კაცი გაეცნოს ამ საგანს; ყველაზე უკეთესი საშუალებაა, როცა გლეხი თავის თვალით ნახავს საუკეთესო ნიმუშებს და თვით წეს-რიგს მუშაობისას მეურნეობის იმ დარგში, რომელიც მას ესაჭიროება.

მაგალითათ, ვთქვათ, გლეხს ესაჭიროება **ხვნა-თესვის** ცოდნა.

როგორ შეუძლია მას გაეცნოს ამ საგანს?

ამ საგანს ის უფრო ადვილათ შეითვისებს, თუ თვითონ მივა მცოდნე კაცთან, რომელიც აწარმოებს საუკეთესოთ ხვნა-თესვას; ადრე ხნავს მიწას და თესავს თავის დროზედ; აქვს მას ამისათვის საუკეთესო გუთნები, ტრაქტორი, თესლის სარკვევი მანქანა, თესლის წამლობას აწარმოებს და სხვა. ერთი სიტყვით, აქვს ყოველივე ხელსაწყო, იარაღები და მოწყობილება და მათ ხმარებას და მუშაობას გლეხი თავის თვალით უცქერის და თვითონაც იღებს მონაწილეობას მის მუშაობაში.

იგივე ითქმის მეურნეობის სხვა დარგების შესახებ—**მევენახეობაზე, ბამბის, თამბაქოს** და სხვა მცენარეულობის მოყვანაზე, მებაღეობაზე და სხვა.

მაგრამ ყოველი გლეხი ვერ მოიცლის, რომ ამგვარათ გაეცნოს მუშაობას; ამას უნდა დრო და ხარჯი.

გარდა ამისა, მართალია, გვაქვს სასწავლებლები, საჩვენებელი მინდვრები და სხვა, სადაც მუშაობის მაგალითის ნახვა შეიძლება, მაგრამ ამგვარი დაწესებულებებით ჩვენი ქვეყანა ისე არ არის ჯერ-ჯერობით დაქსელილი, რომ ყოველ გლეხს შეეძლოს სარგებლობა.

აგრონომს შეუძლია გლეხს მაგალითით გააცნოს მუშაობის წეს-რიგი. თუ აგრონომი მცოდნე და გამოცდილი კაცია, ის მოახერხებს, გლეხები სავსებით გააცნოს სოფლის მეურნეობას, ააცდენს მათ ყოველივე შეცდომებს, გლეხებს დაიყოლიებს, რომ ყველამ მიატოვოს რაც გამოუსადეგარი და საზარალოა გლეხის ოჯახისათვის; დააწყებიებს და შეაყვარებს სოფელს იმ მეუნეობას, რაც გლეხებისათვის უფრო ხელსაყრელი და სასარგებლოა.

ეს ყველაფერი შეუძლია გააკეთოს აგრონომმა სიტყვით და საქმით;

მაგრამ ამ მხრივაც ჯერ-ჯეროობით ვერ ვართ გამაგრებული; ერთი რომ მცოდნე და გამოცდილი აგრონომები ცოტანი გვყვავს და მეორე—აგრონომებმა რომ რიგიანათ აწარმოონ მუშაობა სოფლად, საჭიროა ბევრი ხარჯი:

აგრონომს უნდა ექნეს საჭირო წიგნები, ჟურნალები, იარაღები. მანქანები, ნიმუშები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ბევრი სხვა მოწყობილება და საშვალებები.

აგრონომი რომ რიგიანათ მოვაწყოთ მუშაობისათვის, ამას ორი სამი ათასი მანეთი არ ეყოფა. ორ-სამ თემს ერთი აგრონომი მაინც უნდა ჰყავდეს. ყველა ეს რომ ვიანგარიშოთ, იმდენი ხარჯი ესაჭიროება, რომ ჯერ ჩვენი ნორჩი სახელმწიფო ამის სისრულეში მოყვანას ვერ შეძლებს.

ეს ასეა დღეს-დღეობით, მაგრამ მომავალში ყველაფერი ისე იქნება მოწყობილი, რომ სასწავლებლები, საჩვენებელი მინდვრები, აგრონომები და სხვა რამე, რაც გლეხს დაეხმარება სოფლის მეურნეობის ცოდნის შეძენაში, სამყოფი გვექნება; მაგრამ როცა ასეთ დროსაც მოვესწრებით. მაშინაც **აუცილებელ საჭიროებას შეადგენს გლეხისათვის ერთი რამე: რომ მან წაკითხვითაც შეძლოს სოფლის მეურნეობაში ცოდნის შეძენა.**

გლეხისათვის ყოველთვის საჭიროა წიგნი, გაზეთი, ჟურნალი, პლაკატები, ფურცლები და სხვა, სადაც იწერება სოფლის მეურნეობის შესახებ. ყველა ეს გლეხს დიდ შეღავათს აძლევს, როცა მას სურს იცოდეს მეურნეობის ის დარგი, რომელიც მისთვის არის საჭირო.

გლეხს ბევრი სამუშაო აქვს და მისთვის ძნელია თვეები, კვირეები. და დღეები გააცდინოს მუშაობის გასაცნობათ და შესასწავლათ. მაგრამ გლეხს ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისუფალი დღეები და საათებიც გამოურბენს ხოლმე, ზოგი ჩვეულების ძალით და ზოგიც ძალაუნებურათ და ბუნებრივათ.

არის უქმე დღეები, ხანდახან ავდარიც მოუსწრებს ხოლმე მუშაობის დროს. ზამთარში ზოგი მუშაობას ვერ ახერხებს, გძელი ღამეები უქმათ მიუდის, ხანდახან კაცი ავადმყოფობის გამო მინდვრათ ფიზიკურათ ვერ მუშაობს, მაგრამ კითხვა კი შეუძლია და არ ვნებს. ისიც მოხდება, რომ მუშაობით ისე მოიქანცება ადამიანი, რომ ერთს ან ნახევარ დღეს კიდეც დაისვენებს ხოლმე.

აი ასეთი დროთი გლეხი დიდ სარგებლობას მოუტანს თავის თავს: აიღებს და წაიკითხავს წიგნს, ჟურნალს, გაზეთს, სადაც სწერია მისთვის სასარგებლო რამე.

ამისათვისაა, რომ მთავრობა ცდილობს გლეხს გაუადვილოს სამეურნეო ცოდნის შეძენა და სცემს გაზეთ ,,ახალი სოფელს'' და თვიურ ჟურნალს, რომელიც იმავე სახელწოდებას ატარებს.

გაზეთსა და ჟურნალ „ახალ სოფელში" წერილებს, სოფლის მეურნეობის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული.

„ახალი სოფელი" თვიური ჟურნალი და კვირეული გაზეთი ორივე გლეხურია და გლეხებისათვის იწერება.

გაზეთ „ახალ სოფელში" წერილები იწერება მოკლეთ, სახელდახელოთ, მეტის-მეტად მარტივათ და უბრალოთ, რომ გლეხს წაკითხვაზე ბევრი, დრო არ გაუცდეს და ადვილათ გაიგოს; ყოველი მუშაობის შესახებ დროულათ არის ცნობები გლეხის სახელმძღვანელოთ, რომ მუშაობაში შეცდომები არ დაუშვას.

ამიტომ გაზეთი „ახალი სოფელი" გამოდის კვირეულათ.

მაგრამ მოკლე წერილში ძალიან ძნელია ყველაფერის თქმა, რაც ამა თუ იმ მუშაობას შეეხება; ამისათვის შეიძლება დამწერს რაიმე უთქმელიც დარჩეს, მუშაობის წეს-რიგი სავსებით და დაწვრილებით არ იქნეს გაშუქებული.

მოკლე წერილში არ არის მოყვანილი ყველა ის მეცნიერული საფუძვლები, რაზედაც მუშაობის წეს-რიგი არის დამყარებული. მოკლე წერილში ნათქვამია მხოლოდ, თუ როგორ უნდა შესრულდეს მუშაობა.

მაგრამ გლეხისათვის ისიც საჭიროა იცოდეს, თუ რა საფუძვლით, რა გამოცდილებაზე და ბუნების კანონებზეა დამყარებული ესა თუ ის მუშაობის წეს-რიგი.

როცა გლეხს სავსებით გადაეშლება წერილობით ვრცელი, საფუძვლიანი ცნობა მეურნეობის რომელიმე დარგზე, წაკითხვის შემდეგ გლეხი უფრო შეგნებულათ და დაკვირვებულათ დააყენებს მუშაობის წეს-რიგს თავის მეურნეობაში და თვითონაც შეეცდება საქმის განვითარებას.

ეგებ ისიც მოხდეს, რომ საფუძვლიანი და ვრცელი წერილის წაკითხვის შემდეგ, გლეხმა საკუთარის გამჭრიახობით თვითონაც შეჰმატოს მუშაობის წეს-რიგს რაიმე ახალი და სასარგებლო.

აი ამ მიზნით იცემა თვიური ჟურნალი **„ახალი სოფელი"**, სადაც სასოფლო მეურნეობაში იქნება დაბეჭდილი წერილები უფრო ვრცელი

და დაჭეშმარიტებული, მეცნიერების და გამოცდილების საფუძვლებზე.

ჟურნალში იქნება წერილები მეურნეობის სხვადასხვა დარგების შესახებ; რა თქმა უნდა, მეტი ყურადღება მიექცევა იმ მეურნეობის დარგებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის და ჰაერის პირობებს უკეთესათ ეგუება, ვარგობს და უფრო სასარგებლოა გლეხობისათვის.

წერილები გაშუქებული იქნება მაგალითებით, სურათებით, რომ გაუგებარი გლეხებისათვის არაფერი დარჩეს.

ვიმეორებთ, საყოფათაც რომ გვქონდეს სკოლები, საჩვენებელი მინდვრები და მცოდნე და გამოცდილი აგრონომებითაც რომ იყოს ჩვენი ქვეყანა მოფენილი, ჟურნალი გლეხისათვის მაინც საჭიროა.

ჟურნალი, წიგნი, გაზეთი გლეხს ყოველთვის სახლში ექნება და როცა მოისურვებს, მაშინ ისარგებლებს მით. ეს დიდათ ხელს შეუწყობს მის განვითარებას, თავის ცხოვრებას შეგნებულათ წაიყვანს, გონებას გაივარჯიშებს.

ასეა სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში და ასე უნდა იქნეს ჩვენშიაც.

აუარებელი გლეხი შეეჩვია გაზეთ „ახალი სოფელი„-ს კითხვას; სარგებლობს და მადლიერია.

იმედი გვაქვს და რედაქცია კიდეც შეეცდება, რომ ჟურნალ **„ახალ სოფლი“-**ს კითხვას კიდევ მეტი გლეხობა შეეჩვევა, ისარგებლებს მისით და მადლიერი დარჩება.

რომის, რა სიღრმეზე და რა იარაღით სჯობია დასავლეთ საქართველოში მიწის დახვნა

სოფლის მეურნეობაში ქუთაისის საცდელმა მინდორმა თავისი მუშაობა 1895 წელში დაიწყო და ამ ხნიდანვე შეუდგა ის ცდას და გამოკვლევას, თუ სად რა სიღრმეზე და რა იარაღით სჯობია მუშაობა დასავლეთ საქართველოში.

მუშაობა სწარმოებდა მთა-გორიან ალაგებში, მძიმე ნიადაგებზე და რიონ-ცხენის-წყალ-ყვირილა-წყალ-წითელას ჭალებში.

ეს ადგილები თავისი ჰავით და მიწებით ისეთია, როგორც დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი.

ამიტომ საცდელი მინდვრის დასკვნები მთლიანად გამოსადეგი არის ქუთაისის მაზრისთვის, დანარჩენი ადგილებისთვის კი ზოგიერთის შესწორებით.

მუშაობის შედეგები, რომ უფრო გასაგები იქნეს მკითხველთათვის, საჭიროა ვიცოდეთ, რა მნიშვნელობა აქვს მცენარის ცხოვრებაში საზოგადოთ მიწის დამუშავებას.

მშრალსა და გამხმარ მიწაში თესლი ძალიან იგვიანებს გაღივებას. ხანდახან ორ თვემდე, ბევრი სულ არ ამოდის;

გვალვიან წლებში მოსავალი ყოველნაირად ნაკლებია; მაშასადამე, შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ სინესტე მცენარისათვის **აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.**

ცივ მიწაში თესლი ხშირად ლპება, არ ამოდის ან, თუ ამოდის, მცენარე გამოდის სუსტი, დაავადებას ძნელად იხდის.

მიწა საკმაოდ თბილი უნდა იყოს თესვის დროს.

დასავლეთ საქართველოში ძალიანაა გავრცელებული მცენარეთა ფესვების მოხრჩობა.

ამნაირად დაავადებულ მცენარეთ ხშირად შეხვდება კაცი მძიმე და ცუდათ დამუშავებულ მიწებზე, რომლებშიდაც ჰაერის თავისუფალი მოძრაობა შეზღუდულია.

მცენარის მიწის ქვეშა ნაწილს კი ჰაერი ძლიერ ესაჭიროება.

ამნაირად, უბრალო დაკვირვებაც კი გვიჩვენებს, რომ მცენარის კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ მიწაში იყოს: საკმაო **სინესტე, სითბო და ჰაერი.**

შესაფერისი დამუშავებით მიწას ისეთი თვისებები უნდა მისცეთ, რომ მცენარეს არ გაუჭირდეს მიწიდან ყოველივე იმის მიღება, რაც მისთვის საჭიროა.

განვიხილოთ ეს უფრო დაწვრილებით.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, **გამხმარ ნიადაგში თესლი არ ამოდის**. ამისი მიზეზი შემდეგია:

თესლში მოთავსებულია **სათადარიგო საზრდო**, რომლითაც არ შეუძლია პირდაპირ ისარგებლოს თესლში ნასახმა.

საჭიროა რომ მას წყალი მოხვდეს, სითბოც ჰქონდეს და ამის შემდეგ ის გარდიქმნება ხოლმე ისე, რომ შემდეგ ადვილად ლღვება წყალში და ხდება გაღვივებული ნასახის საზრდოთ.

ამნაირად იწყება ნასახის ზრდა — თესლის ამოსვლა.

წყალი საჭიროა მცენარისათვის მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში.

მცენარეს დიდძალი წყალი სჭირდება:

ერთი ფუთი ხმელი მოსავლის მისაღებად საჭიროა **სამასიდან ექვსას ფუთამდე წყალი.**

როცა წყალი დაგუბდება და ისე სდგას მიწაში, ჰაერის მოძრაობა სწყდება, ფესვები ველარ სუნთქავენ და იხრჩობიან;

მცენარემ რომ მიწის სინესტით ისარგებლოს. საჭიროა რომ წყალი საკმარისათ ჰქონდეს. გამოკვლეულია, რომ საჭიროა ერთი მცენარისათვის მძიმე აყალო მიწაში . . . . . 10 გირვანქა.

შავ მიწაში . . . . . 14 გირვანქა.

ქვიშანარევ მიწაში . . . 1 გირვანქა ნახევარი.

მცენარეთა ცხოვრებაში წყალის მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება.

მოსავლის მოწევის შემდეგ ნიადაგში რჩება მცენარეთა მიწის ქვეშა ნაწილები;

როცა მიწას გუთნით დავხნავთ, ბალახი, მცენარის ფესვები, ღეროები მთელ ყანაში მოიფანტება და ნაწილი მიწის ქვეშაც მოექცევა.

თუ გუთნით დახვნა თავის დროზე და რიგიანათ ხდება, მაშინ მიწაში ბლომად გროვდება მცენარეთა ნაშთი.

დალპობამდე ასეთი ნაშთი მცენარისათვის გამოუსადეგარია.

დალპობის შემდეგ კი ის წყალში იხსნება-დნება და ამის შემდეგ მცენარის საკვებათ გადაიქცევა.

მცენარეთა ნაშთის დალპობა უბრალო თვალისთვის ერთნაირ უჩინარ ქმნილებათა (ბაქტერიებს ეძახიან) მუშაობის შედეგია. ბაქტერიები მილიარდობით არიან მიწაში, ხოლო მათი არსებისათვის წყალი იმდენადვეა საჭირო, რამდენადაც თვით მცენარისათვის.

მცენარეთა ნაშთის ლპობის დროს გამოდის ერთნაირი ჰაეროვანი სითხე—გაზი ეგრედ წოდებული **ნახშირმჟავე გაზი.**

ეს გაზი წყალს გაუჯდება, ასეთი წყალი არღვევს—შლის მიწის შემადგენლობას.

ამნაირად გამოდის, რომ წყალი არამც თუ პირდაპირაა საჭირო მცენარისითვის, ის მოქმედებს კიდევ როგორც დამხმარე ძალა მცენარის ცხოვრებაში.

წყალის მნიშვნელობა სხვაფრივაც დიდია:

სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი ერთი და იგივე ნიადაგი ისრუტავს და უშვებს თავის სიღრმეში სხვადასხვა ნალექს, მაგრამ ყველა ნიადაგი ერთნაირად როდი უშვებს ამ ნალექს.

თუ ადგილი ვაკეა, უმეტესი ნაწილი ნალექისა იკარგება, მზე ამოაშრობს; დაფენებულ ალაგებში კი წყალი ვერ ჩერდება და ღელეებისაკენ მიჰქრის.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში მიწის სიღრმეში ცოტა წყალი გროვდება სათადარიგოთ.

დაუმუშავებელი მძიმე მიწის პატარ-პატარა ნაწილები, პურის ფინჩხებს ჰგავს. ისენი მეტის მეტად არიან ერთიერთმანეთთან დაახლოვებული და მათ შორის თავისუფალი სივრცე ერთობ მცირეა.

მიწას რომ დაუკვირდე, მას თითქოს დატანებული აქვს ვიწრო მილები. ასეთი მილები ერთობ ღრმად მიდის მიწაში.

მილებს მიწის სიღრმიდან მიჰყვება წყალი და ამოდის თავამდე.

ეს ხდება არამც თუ მაშინ, როცა მიწა გაჟღენთილია წყალით, ან თავისუფალი წყალი იმყოფება სიღრმეში, არამედ მაშინაც კი, როცა მიწა შეიცავს იმის ნახევარს, რამდენისაც შეუძლია შეწოვა აუტალახებლად.

ვიწრო მილების მოქმედება, რომელთაც სივიწროვის გამო უწოდებენ **ბეწვის მილებს**, სწყდება მიწის დიდ სიღრმეში, როცა ნიადაგი გამოშრება.

ამნაირად გამოდის, რომ მძიმე, დაბეგვილი მიწა ისრუტავს და თავის სიღრმეში ნალექის ნაწილს უშვებს.

პირდაპირი აორთქლებით კი ჰკარგავს განუწყვეტლივ მანამდის, სანამ ნიადაგი სრულიად არ გამოიფიტება.

არიან ბუნებრივათ ისეთი მიწები, რომელთა ნაწილები თავისი სიპატარავით გვაგონებენ **მტვერს;**

ხდება აგრეთვე, რომ უხეირო დამუშავების გამო ბუნებრივად კარგი თვისების მიწა მტვერდება.

მტვერის მსგავსი ნაწილები დასველებისთანავე ეწებებიან ერთიერთმანეთს, კეთდება მაგარი კანი, რომელიც არ უშვებს სიღრმისაკენ არც ჰაერს და არც ნალექს.

ასეთი მიწები წყალის დაგროვება-დახარჯვის მხრივ სრულიად ემსგავსებიან **მძიმე — დაბეგვილ მიწებს.**

მიწები, რომლებიც ზომიერად არიან გაფხვიერებული ბუნებრივად, ან დამუშავებით, საკმაოდ ურევია ნაკელი ან მცენარეთა დამპალი ნაწილები, დიდხანს ინარჩუნებენ ერთხელვე მიღებულ მდგომარეობას და ადვილად უშვებენ სიღრმეში ნალექს.

იმ სიღრმეზე, რა სიღრმეზედაც მიწას ფხვიერად ვინახავთ, ბეწვის მილები იღლვევიან, იშლებიან, სიღრმიდან წყალი აღარ ამოდის, ნაკლებად იკარგება პირდაპირი აორთქლებით და ამისათვის ასეთ ალაგებში **ნათესები ადვილად იტანენ გვალვას.**

იმის დასასურათებლად, თუ რამდენათ დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის ზედა პირის მდგომარეობას წყალის მიღება-შენახვაში, მოვიყვან შემდეგ ცდას:

საცდელად აღებული იყო ორი ერთნაირი და ერთად მდებარე ნაკვეთი მიწა.

ერთი ჯერ დაიხნა ხუთ ვერშოკზე, გიორგობისთვის თუთხმეტში.

შემდეგ დაიფარცხა და გაევლო გუთნით კვალი, რომ ნახნავის სიღრმეზე არ დამდგარიყო წყალი, და შეწყვეტილიყო კავშირი ბეწვის მილებთა შორის.

მეორე ნაკვეთს ხელი არ ვახელით, ბუნებრივად იყო დატოვებული: წყალი დგებოდა, ნალექს ვერ ისრუტავდა.

პირველი ნაკვეთი ზამთრის განმავლობაში დაიფარცხა ერთხელ, მარტის დამდეგს მოვხანით ორფთიანი გუთნით **ვერშოკ-ნახევარზე.**

ხელმეორე დახვნის დროს აღმოჩნდა, რომ მიწა მთელი ნახნავის სიღრმეზე — (ხუთვერშოკზე) — საუცხოვოდ იყო მომწიფებული, სათადარი-

გო წყალის რაოდენობა მიწის სიღრმეში ხუთჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მეორე ნაკვეთს ჰქონდა იმავე სიღრმეზე.

თუმცა მეორე ნაკვეთში შედარებით საერთოდ ცოტა სინესტე იყო, მაგრამ მიწა მეტად დატკეპნილი გამოდგა და მის რიგიანად დამუშავებას მოუნდა სწორედ სამჯერ მეტი ხარჯი, ვიდრე დასჭირდა საერთოდ პირველ ნაკვეთს.

დასავლეთ საქართველოში ძნელია, რომ მარტო დამუშავებით მიწებს მიეცეთ ისეთი მდგომარეობა, რომელიც ინახება თავისთავად დიდხანს და რომელიც შეეფერება მცენარის მოთხოვნილებებს.

მიწის ზომიერი სიდიდის ნაფხვენები, მოკლებული წყალის მიმზიდველობას, ადვილად შრება, ფხვიერდება და მტვერს ემსგავსება.

ეს კი აქარწყლებს მიწის დამუშავების მნიშვნელობას, რადგანაც ამითი მიწაში ჰაერის მოძრაობა ფერხდება, ჩერდება.

მცენარე სუნთქავს ყველა თავისი ნაწილებით, სუნთქავს ფესვებითაც.

როგორც ჩვენი სხეული, ისე მცენარეც საჭიროებს სასუნთქავად ჰაერის შემადგენელ ნაწილს, ეგრედ წოდებულს, **მჟავბადს.**

უმჟავბადოთ ყოველივე სიცოცხლე ისპობა.

მიწაში თუ ჰაერის მოძრაობა გზაშეკრულია, იქ მცენარე ვერ იხეირებს.

მჟავბადი სხვაფრივაც ძალიან საჭიროა: მიწაში უიმისოდ შეუძლებელია მცენარეთა ნაშთის სრული დაშლა.

მაშასადამე, მიწის მუშამ ყოველი ღონე უნდა მიიღოს, რომ ნიადაგში ჰაერი შესაფერისად და ადვილად მოძრაობდეს. ამას ხელს უწყობს ნიადაგის შესაფერი დამუშავება.

საკმაოდ ფხვიერ ნიადაგში ჰაერის მოძრაობა განუწყვეტლივ სწარმოებს ნახნავის სიღრმეზე, მძიმე და დაბეგვილ მიწაში კი—მეტად სუსტად, ხშირად ხანმოკლედ და ისიც ზერელეთ.

ნიადაგის დამუშავების თვისებასთან კავშირი აქვს ნიადაგის **სითბოს** ცვლილებას.

დამუშავებულ ნიადაგში უფრო ძლიერათ და ჩქარა იშლება მცენარეების ნაწილები და ამიტომ წყალსაც მეტს შეისვამს.

ასეთ მოვლენებს კი აუცილებლივ მოჰყვება ხოლმე მიწის შეთბობა.

დამუშავებულ მიწაში ჰაერის მოძრაობა უფრო ცხოველად სწარმოებს, ვინემ მოუძრავ მიწაში, ამიტომ სინესტის ცვლილებაც და მასთან ერთად-სითბოსიც.

მიუხედავად ამისა უნდა ვსთქვათ, რომ ძნელი და შეუძლებელიცაა რაიმე ზომებით მიწის საგრძნობი გათბობა.

ბოლოს და ბოლოს **მიწის დამუშავებას ერთი უმთავრესი მიზანი აქვს:**

თესლის და შემდეგ მთელი ნათესის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ მან მიწის მუშას მისცეს უდიდესი და ყველა მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი მოსავალი.

მიწის საკმაო სინესტის, ჰაერის მიწაში ზომიერ მოძრაობისა და მიწისავე შესაფერისი სითბოს გარდა, საჭიროა მცენარეთა საკვებით უზრუნველყოფა თესლის გაღივებიდან დაწყებული სიცოცხლის დათავებამდე.

წყალში გამდნარი საზრდო ორნაირი თვისების არის.

ზოგ მათგანს, თუ რაიმე მიზეზით მცენარემ ვერ მოიხმარა ისინი, იზიდავენ მიწის ფინჩხები და რჩებიან მათში, წყალი კი მიდის მიწის სიღრმეში.

სულ სხვასა ვხედავთ იმ საკვებ მასალაში, რომელშიაც შედის ეგრედ წოდებული **აზოტი:**

მიწის ფინჩხები ვერ იზიდავენ აზოტს წყალიდან; მიჰყვება წყალს ნიადაგში ღრმად ფესვებისთვის მიუწდომელ სიღრმეში და ამნაირად იკარგება მცენარეთათვის.

ამით აიხსნება ის, რომ მცენარეს ხშირად აკლდება აზოტიური საზრდო და ამ შემთხვევაში ისინი განიცდიან ნამდვილ სიმშილს.

დიდი წვიმების დროს ასევე ემართება ხელოვნურად შეტანილ აზოტიურ პატივს; მაგალ. **გვარჯილას.**

ხელოვნურად აზოტის შეტანა ნიადაგში ძალიან ძვირად ჯდება და ხშირად შემოსავალი ვერ იტანს ხარჯს.

ამიტომ უნდა გამოინახოს ისეთი საშუალება, რომელიც შედარებით იაფად ჯდება და აზოტიანი სასუქი ბლომად მზადდება მიწაშივე მისი კარგად დამუშავებით.

რომ ეს შესაძლებელია, ამაზე დადებით პასუხს გვაძლევენ გამოკვლევანი.

მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგ ცდას, რაც მოვახდინეთ ნაკვეთ მიწაზე:

ერთი ნაკვეთი დაიხნა ოთხ ვერშოკზე შემოდგომაზე და მარტის შუა რიცხვებამდე ინახებოდა საუკეთესო მდგომარეობაში;

მეორე ნაკვეთი დატოვებული იყო მოუვლელად.

მარტში გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ათასი ფუთი პირველი ნაკვეთის მიწა შეიცავდა ორმოცდაათ ფუთამდე **აზოტის სიმჟავეს**, მეორე ნაკვეთის იმავე რაოდენობის მიწაში კი დამზადებულიყო **ორ ფუთამდე აზოტის სიმჟავე.**

თუ მიწა შემოდგომაზე იხვნება და მთელი ნახნავის სიღრმე ინახება ფხვიერად, დაუხნავ მიწასთან შედარებით ის ყოველთვის გაცილებით უფრო ნოყიერია.

ამას უნდა მიემატოს კიდევ შემდეგი დასკვნები, რაც ნათქვამიდან გამომდინარეობს.

მიწის სინოყივრის აღდგენაში ღრმად დახვნას უპირატესობა აქვს ზერელედ ნახნავთან.

მიწის სინოყივრის აღდგენა ჩვენებური კავის შემწეობით შეუძლებელია.

ამასვე გვიმტკიცებს ქუთაისის საცდელი მინდვრის პირდაპირი და ხანგრძლივი ცდები, რომლებზედაც ლაპარაკი გვექნება შემდეგ წერილში.

აჯამეთის საცდელი მინდვრის გამგე აგრონომი **გ. ჯაფარიძე.**

ტყეში.

დიდებული სანახაობა იყო:

დღესა და ღამეს ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული.

არც ერთი მათგანი არა სთმობდა ბრძოლის ველს.

ბოლოს დღის სინათლემ მაინც თავისი გაიტანა.

შიშისაგან დამფრთხალი და ფერ-გაცრეცილი ღამის ბინდ-ბუნდი თავისი გუდა ნაბადით აშლილიყო და დარჩენილი ოდნავი სიწითლით მთების ხევ-ხევით სადღაც მიიპარებოდა.

თენდებოდა.

მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, მაგრამ მისი შორეული ნათელით, სიცილით, ცის კიდური ვარდისფრად ღაჟღაჟებდა.

ტყისაკენ მიმავალ სოფლის შარა გზაზე ჭრიალ-ჭრიალით მიიზლაზნებოდა ცარიელი ურემი.

ურმის კოფოზე მჯდომი გლეხკაცი სევდიანი ხმით ღიღინებდა:

გავხედე აღმოსავლეთსა,
ცამ თეთრად იწყო თენება;
საცაა მთების მწვერვალზე
მზე წითლად დაესვენება.

გათენდი, დილავ, გათენდი,
არ გადამჭეხო კლდეზედა;
არ დამიობლო ცოლ-შვილი,
გლოვად არ დასხა ჩემზედა.

ასე ნაღვლიანათ მიიმღეროდა მეურმე და მისი ხმის რაკრაკი აღვიძებდა გარინდებულ არე-მარეს.

* * *

ტყეში დაბანაკებული სპეტაკი ნისლი დილის ნიავის ქროლვით ნელ-ნელა იფანტებოდა.

მალე მზეც ამობრწყინდა და ისე გადააწითლა მთელი ტყე, გეგონებოდათ ცეცხლი წაჰკიდებია და იწვისო.

— ოო-ჰო! ოო-ჰო-!დაუდუნა ხარებს გლეხკაცმა და ტყის ნაპირას შეაჩერა ურემი.

გადმოხტა კოფოდან. ხარები გამოუშვა.

ცული ქამარში გაირჭო და შეჰყვა ტყის ბილიკს.

* * *

— კაკ-კუკ! კაკ-კუკ!— მოისმა მცირე ხნის შემდეგ ტყის სიღრმიდან ცულის ხმა.

— ფრთხილად, შენ გენაცვალე, ე ფეხი არ დამადგა და არ გამსრისო! ეხვეწებოდა იქვე მახლობლად ამოსული ნაზი ია, რომელიც შიშისგან თრთოდა, ცახცახებდა.

— რას მერჩი, რას, შე უკეთურო, რომ მომდგომიხარ მაგ მჭრელ ნაჯახითა და მჩეხავ დაუზოგავად.

კვნესოდა დაჭრილი ხე ცულის ყოველ დარტყმაზე და ნაფოტის ცვევნასთან ერთად ცრემლებიცა სცვიოდა.

— ნუ მომჭრი, ჯერ ახალგაზრდა ვარ, დამაცადე გავიზარდო, განა ცოტაა ამ ტყეში ხნიერი ხეები, რატომ იმათ არა სჭრი, ეჰ, რა უვიცი ხარ, ჩემო კარგო, რა უვიცი ხარ. ჭკვიანი და გონიერი კაცი განა ასე ვერაგულათ მოეკიდება ტყესა. განათლებულ ქვეყანაში, სადაც ტყე არ არის, მილიონობით ფულსა ხარჯავენ, რომ როგორმე მოაშენონ და შენ კი მზა-მზარეულად გაშენებულს მოსდგომიხარ და უწესრიგოთ აჩანაგებ. ასე ხომ მტერიც არ მოიქცეოდა, დაუფიქრდი შენს თავს, მოუარე ტყეს, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება, ხელახლად დაგჭირდება მოშენება. იცი კი შე ბეჩავო, რამდენი სარგებლობა მოგაქვს შენთვის? ჰაერის სისუფთავე, ცივ-ცივი წყაროების რაკრაკი, გაზაფხულის ნიაღვრების შეჩერება, სიტურფე და სილამაზე, სიმდიდრე და სიჯანსაღე.... ეჰ, რომელი ერთი ჩამოგითვალო.

ასეთი საყვედურით ეჩურჩულებოდა ჭრილობებისაგან ატირებული ახალგაზრდა ტან-ატყორცნილი ხე გლეხკაცს, მაგრამ მას არ ესმოდა არაფერი.

— კაკ-კუკ! კაკ-კუკ!

— ჭრრ-რახ!—იხუვლა ძირში გადაჩეხილმა ხემ და უშველებელი ტოტების ლაწა-ლუწით ზღართანი მიიღო.

— აჰა, ესეც ასე! ძლივს არ ეშველა, ამ ვერანას! რამსისქეა და?! არხეინად ჩაილაპარაკა გლეხმა, წელში გასწორდა, ყალიონი ამოიღო ჯიბიდან და ახლა სხვა ხეებს გადაავლო თვალი.

წაქცეული ხე კი მოკლულ ვაჟკაცივით ეგდო ძირს და ალარ შრიალებდა.

გ. ქუჩიშვილი.

რა არის კოოპერაცია?

ცალკე ცხოვრება მეტად ძნელი და აუტანელია. თითქმის არსად დედამიწის ზურგზე არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდეს მეორე ადამიანთან ისინი უსათუოთ რამეში ეხმარებიან ერთი-მეორეს და რამდენადაც ისინი ამ საქმეში მჭიდროთ არიან დაკავშირებული, იმდენად უკეთ მიჰყავთ, როგორც საერთო საქმე, ისე თვითეულისა ცალკე.

კოოპერაციაც სწორეთ ამ მიზანს ემსახურება.

კოოპერაცია გაჭირვებული მშრომელი ხალხის მოგონილია. სიტყვა კოოპერაცია ნიშნავს რამდენიმე პირის თანამშრომლობას, ამხანაგობას ან საზოგადოებას.

ცალკე პიროვნება ყოველთვის უნუგეშოა. „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალია“ ო, იტყვიან ჩვენში.

ორი კაცის საზოგადოებას უფრო მეტი იმედიანობა ეტყობა, თუ მეტნი არიან, მით უფრო უკეთესი. მტერსაც და მოკეთესაც უკეთ დახვდებიან; ყოველ გაჭირვებას უკეთ შეებრძოლებიან.

ადამიანები სხვადასხვა მიზნით ერთდებიან: თავისს ოჯახურ პირობების გასაუმჯობესებლად, რომელიმე წარმოების გასაფართოებლათ ან ასაღორძინებლად, საერთო საქმის შესასრულებლად, ნაწარმოების გასასაღებლად, საჭირო იარაღების ამხანაგურად სახმარებლათ და სხვა მიზნით.

რამდენადაც მიზანი მეტია, იმდენათ კოოპერატივის დანიშნულებაც დაუღეველია.

კოოპერატიულად შეკავშირებული ამხანაგობა იმით განირჩევა კერძო ვაჭრების ამხანაგობისაგან, რომ კოოპერატიულად შეკავშირებული ხალხი ცდილობს ერთი-მეორეს დახმარებით უკეთ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, უკეთ დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილება,ვიდრე თვითეულს ცალკე შეუძლია ეს.

კერძო ვაჭრები იმიტომ ერთდებიან ამხანაგობებათ, რომ მეტი მოგება ნახონ, ერთი-მეორეს მეტოქეობა კი არ გაუწიონ, არამედ საერთო ძალით ჩაიგდონ ხელში ბაზარი, რომ უკეთ გააძრონ ტყავი მშრომელ ხალხს და გამდიდრდენ.

კოოპერატივში ხალხი გამდიდრების მიზნით კი არ ეწერება, არამედ მათ აერთებს გაჭირვება, საერთო შრომა, თვითმოქმედება და თვითდახმარება.

კერძო ვაჭრების ამხანაგობაში მუდამ უთანასწორობაა: უპირატესობა იმას ეძლევა იქ, ვისაც მეტი ფული აქვს შეტანილი ამხანაგობაში, მოგებაც მეტი მას რჩება.

კოოპერატივში კი ყველა თანასწორია.

რას ებრძვის კოოპერაცია.

კოოპერაციის მიზანია ადამიანი მიაჩვიოს თანამშრომლობას, რომ მშრომელ ხალხს შეეძლოს ყოველ მოთხოვნილების საერთო ძალით,ამხანაგურათ დაკმაყოფილება, გაყიდვა იქნება რამის, თუ ყიდვა ან გაკეთება

ამგვარად, კოოპერაცია მოსისხლე მტერია ყოველგვარ შუამავლისა: ჩარჩისა, დალალისა და სხვა.

ამჟამად, ვიდრე გლეხის ნაშრომი ქალაქის მუშამდე მიაღწევდეს, ის აუარებელ შუამავლის ხელში გადადის.. ყველა ეს შუამავალი საჭიროთ სთვლის თავის შრომაში რაიმე მოგება ნახოს. ყველა ეს მოგება მძიმედ აწვება გლეხის **ნაწარმოებს** და ბოლოს ერთი-ორათ და მეტადაც გაძვირებული აწევს მომხმარებელს.

აქედან, ცხადია, თუ ვის ხარჯზე ისქელებენ ეს არამკითხე შუამავლები ჯიბეებს.

კოოპერაციის მიზანია უპირველესათ ამ შუამავლებთან და კერძო ვაჭრობასთან ბრძოლა.

მათ ნაცვლათ კოოპერაცია აერთიანებს გლეხს-მწარმოებელს და მუშა-მომხმარებელს სხვადასხვა ამხანაგობებში და კავშირებში.

ამგვარად ის მოგება, რომელიც კერძო შუამავლებს მიჰქონდათ, კოოპერაციის საშუალებით, რჩება გლეხს-მწარმოებელს და მომხმარებელს.

გარდა ამისა ის ებრძვის ადამიანის სიბნელესაც.

ის აყვარებს თავის წევრს საზოგადოებრივ მუშაობას, სხვადასხვა განმანათლებელ დაწესებულების საშუალებით მას განათლება შეაქვს ხალხში, ის ასწავლის კაცს შეგნებით და ანგარიშით მოეკიდოს საერთო საქმეს.

რა და რანაირია კოოპერატივი.

მოთხოვნილების მიხედვით კოოპერატივები ბევრნაირია.

თუ კოოპერატივი აკმაყოფილებს თავის წევრებს საჭირო საგნებით, მაგალითად: მარილით, ფართალით, ნემსით, ძაფით, საპნით დ სხვა, ესე-იგი, ისეთ საგნებით, რომლებიც ადამიანს ყოველ დღე სჭირდება და ხმარობს, ასეთ კოოპერატივს ეძახიან **სამომხმარებლო კოოპერატივს**.

სამომხმარებლო კოოპერატივები კერძო ვაჭრის მაგიერობას ეწევიან.

სამომხმარებლო კოოპერატივი ცდილობს მიაწოდოს თავის წევრს პირველ მოთხოვნილების საგნები, რაც შეიძლება კარგი ხარისხისა დ იაფ-ფასებში.

ასეთი კოოპერატივი პირველათ დაარსეს ინგლისში მუშებმა 1844 წელს, ქალ. **როჩდელში**. ამათ ჩაუყარეს მას საძირკველი და გამოიმუშავეს ისეთი ძირითადი წესები, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ყველა ჯურის კოოპერატივი.

თავდაპირველად მომხმარებელი საზოგადოება მხოლოდ სავაჭროებს ხსნიდა, მაგრამ შემდეგ გაფართოვდა და ვაჭრობის ანუ სანოვაგის განაწილების გარდა წარმოებასაც მოჰკიდა ხელი, რომ უმუშევრებისთვისაც გაეწია დახმარება.

ამ მიზნისათვის მიწებსაც კი იღებდა იჯარით დასამუშავებლათ.

მომხმარებელი კოოპერაცია მეტად ფართე ხასიათისაა და არ არის არც ერთი დარგი სახალხო მეურნეობაში, რომ არ შეიძლებოდეს მისი კოოპერატიულად მოწყობა. ადამიანის ავადმყოფობისგან წამლობაც კი შეიძლება კოოპერატიულათ.

სამომხმარებლო კოოპერაცია ყველაზე გავრცელებული კოოპერაციაა. მეტადრე ის განვითარდა მსოფლიო ომის დროს და გახდა საერთაშორისო კავშირად.

მაგრამ ყოველგვარ ამხანაგობას და კოოპერატივს თავის მოქმედებების განსავითარებლათ ყოველთვის ესაჭიროება თანხები.

ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შემოღებულ იქნა **სესხის მიმცემი ამხანაგობები**.

სესხის მიმცემი ამხანაგობა ძლიერ ნაკლებ სარგებელში ასესხებს კოოპერატივებს ფულს.

ამ ჯურის ამხანაგობის მთავარი მიზანიც მშრომელი ხალხის მოვახშის კლანჭებიდან დახსნაა.

სესხის მიმცემი ამხანაგობა ზოგიერთ შემთხვევაში ცალკე ან სხვა ამხანაგობასთან ერთად იძენს სამეურნეო იარაღებს, თესლს ან სხვა საგნებს ის ამ მხრივ ძლიერ ეხმარება სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

სესხის მიმცემი ამხანაგობები ძლიერ გავრცელებულია გერმანიაში და დიდი ღვაწლიც მიუძღვით გერმანეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

სესხის მიმცემი პირველი კოოპერატივი დაარსდა აქ 1869 წელს. ეს ამხანაგობა შეიქნა სამაგალითოთ ყველასათვის და ახლა იშვიათად შეხვდებით ქვეყანას, სადაც სამომხმარებლო კოოპერაციის გვერდით სესხის მიმცემი კოოპერაციაც არ იყოს განვითარებული.

სესხის მიმცემი ამხანაგობა ცდილობს დიდ მოგების მიღებას კი არა, არამედ ცდილობს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას.

სესხის მიმცემ ამხანაგობას სარგებლის აღება კი არ აინტერესებს, არამედ ფულის ამოძრავება საქმეში და ქვეყნის მეურნეობის განვითარება.

სესხის მიმცემი ამხანაგობა იმითაც ეხმარება ხალხს, რომ ღებულობს ფულს სარგებელში შესანახად, რომელსაც ის ამოძრავებს და საშუალებას აძლევს ცოტა ფულის მქონეს და გაჭირვებაში მყოფს ამხანაგს დახმარება გაუწიოს.

სესხი ესაჭიროება არამც თუ კოოპერატივებს, არამედ ცალკე მეურნესაც ზოგი იარაღის, ზოგიც თესლის ან სხვა საგნის შესაძენად ან და ცალკე ხელოსანს, სამუშაო იარაღ-მასალის საყიდლათ.

ცალ-ცალკე გლეხის და ხელოსნისათვის ძლიერ ძნელია მეურნეობისათვის ან სახელოსნოსათვის საჭირო მასალა-იარაღების შეძენა. ამ შემთხვევაში, რამდენიმე გლეხი ან ხელოსანი თავს მოიყრის ერთად და ერთად დაუკვეთენ სესხის მიმცემ ამხანაგობას, რომლიდანაც გაცილებით ადვილად და უფრო იაფად შეიძენს დაკვეთილ საგნებს.

ამ საქმეში, ცხადია ხეირი აქვს როგორც ამხანაგობას, ისე დამკვეთებლებს. საქონელსაც იაფს და კარგს შეიძენენ და მოგება, რომელიც ჩარჩ-ვაჭარს უნდა ჩაეჯიბნა, მომხმარებელს და სესხის მიმცემ ამხანაგობას რჩება.

ესევეა, როცა ცალკე მეურნეებს უნდათ თავისი ნაწარმოების გასაღება. მაშინ იმის მაგივრად, რომ თვითეულს ცალკე ჩარჩ-ვაჭართან დაეჭირა საქმე, ისინი ერთდებიან და სესხის მიმცემ ამხანაგობის შემწეობით ასაღებენ თავის ნაწარმოებს.

აქაც ცხადია სარგებლობა ამ წესით ნაწარმოების გასაღებისა: არც წონაში, არც ფასებში და არც მოგებაში მეურნე მოტყუებული არა რჩება.

რა არის საწარმოო კოოპერაცია.

საწარმოო კოოპერაცია აერთიანებს მშრომელ ხალხს საერთო ძალით რაიმე ნაწარმოების დასამზადებლათ და ბაზარზედ გასასაღებლათ.

საწარმოო კოოპერატივში მონაწილე ერთდაიმავე დროს პატრონიც არის და მუშაც.

ამგვარ კოოპერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში.

დიდ დახმარებას უწევენ საწარმოო კოოპერაციას მუშათა ორგანიზაციები, მაგრამ ის ყველაზე ძნელი მოსაწყობია.

საწარმოო კოოპერაციას დაკისრებული აქვს ნაწარმოების დამზადება.

ამ ნაწარმოებმა უნდა დააკმაყოფილოს სამომხმარებლო კოოპერაციის მოთხოვნილება და თავისი სიიაფით მოსპოს კერძო წარმოება.

ეს ყველაზე ძნელი მხარეა საწარმოო კოოპერაციაში, რადგან კერძო წარმოება სასტიკ მეტოქეობას უწევს მას.

საწარმოო კოოპერატივები მართავენ ფურნეებს, საკუთარი პურის დასამზადებლათ, აქვთ მათ საკუთარი საპნის სახარში ქარხნები, საფეიქროები, წისქვილები, ფეხსაცმლის სახელოსნოები და სხვა.

მაგალითად, ინგლისში 1913 წელს 1202 საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი წარმოება, სადაც მუშაობდა 43 ათასი მუშა და რომელმაც დაამზადა 143 მილიონ მანეთის საქონელი.

1922 წელში ინგლისის კოოპერატიული წისქვილები საათში ფქვავდენ ოთხას ოცდახუთ ტომარა ფქვილს.

რუსეთში ძალიან განვითარებულია საწარმოო კოოპერაციაში კარაქის და სხვადასხვა კონსერვების წარმოება. 1917 წელში დაახლოებით 461 საწარმოო კოოპერატიული ორგანიზაცია ითვლებოდა, ამათში ყველაზე მეტი წისქვილი იყო.

საწარმოო კოოპერაციასთან ახლო დგას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. ეს ორგვარი კოოპერაცია იმდენად დაახლოებული არიან ერთი-მეორესთან, რომ ხშირად ურევენ ერთი-მეორეში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ცდილობს თავისი წევრების ნაწარმოები რაც შეიძლება უკეთ გამოიყენოს და მომგებიანი გასავალი უპოვოს. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ცდილობს, რომ გლეხ-მწარმოებელის

რძის ნაწარმოები: კარაქი, ხილი, ღვინო ან და სხვა. მაღალი ხარისხის იყოს, არ გაუფუჭდეს და უფრო სარგებლიანი გასავალი მისცეს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ან უნდა კისრულობდეს თავის წევრების ნაწარმოების ერთად თავის მოყრას და მის გასაღებას ან და შეიძლება გლეხის ნაწარმოების კოოპერატიულად დამზადება.

ასეთ კოოპერაციაში ნაწარმოების დამზადებაში დაქირავებული ხელიც მუშაობს და საბრუნავი თანხაცაა საჭირო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასვე ეკუთვნის კოოპერატიულად დასამუშავებლად იჯარით აღებული მიწები.

ამგვარი კოოპერაცია ძლიერ განვითარებულია რუსეთში, იტალიაში, გერმანეთში, ინგლისში, რუმინეთში და სხვაგან. ასეთი კოოპერატივი იღებს იჯარით მამულს და მართავს იქ ერთ საერთო მეურნეობას.

ამხანაგურად იძენენ საჭირო იარაღებს და საქონელს და ყოველი საქმე კეთდება მონაწილეთა ხელით, თანახმათ საერთოთ შემუშავებულ გეგმისა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას დიდ დახმარებას უწევენ ქალაქის პროფესიონალური კავშირები უმუშევართათვის სამუშაოს შოვნის მიზნით ამ კოოპერატივებში.

სამაგიეროთ დიდ წინააღმდეგობას უწევენ მემამულეები ამგვარ კოოპერატივებს. მაგრამ ეს კოოპერატივები თანდათან ფეხს იკიდებენ და ბევრ მომხრეს პოულობენ, რადგან მათი საშუალებით ბევრი მუქთად მიგდებული მიწები დამუშავდენ და სოფლის წარმოებამ იმატა.

1911 წელში რუსეთში ითვლებოდა 272 ამხანაგობა, რომლებსაც იჯარით აღებული ჰქონდა 389 ათასი დესეტინა მიწა.

ეს კოოპერატივები თავის მართვა-გამგეობით და მოწყობით ძლიერ წაგვანან იტალიელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. აქაც ყველა მინდვრის მუშაობა სწარმოებს წინასწარ შემუშავებულ გეგმით.

1920 წელს რუსეთში ყოფილა 1774 კომუნა, 7348 არტელი და 927 საზოგადოება, რომელიც მისდევდა მიწის საზოგადოებრივ დამუშავებას.

როგორც სჩანს, არტელური მეურნეობა ყველაზე უფრო გახშირებულია, რადგან ეს უფრო აკმაყოფილებს გლეხის მეურნეობის დღევანდელ მოთხოვნილებას.

ამ ბოლო დროს თანდათან ფეხს იკიდებს საამშენებლო კოოპერაციაც.

ამ კოოპერაციის მიზანია აუშენოს თავისს წევრებს მოხერხებული, საღი და იაფი ბინები. ასეთ კოოპერაციის განსავითარებლად საჭიროა დიდი თანხები და სახელმწიფო დახმარება.

ყველა ჩამოთვლილი კოოპერაციები ერთდებიან ჯერ პატარ-პატარა კავშირებათ და შემდეგ შეადგენენ ერთ მთლიან კავშირს თვითეულ სახელმწიფოში.

ყველა სახელმწიფოს კავშირები კი ერთდებიან ერთ საერთაშორისო კავშირში, რომელსაც ეწოდება **ალიანსი** (კავშირი).

როგორ უნდა მოეწყოს კოოპერატივი სოფლად.

კოოპერაციას აქვს თავისი კანონმდებლობა და წესდება.

ვისაც კოოპერატივის დაარსება უნდა, ის უნდა მოქმედებდეს თანახმად ამ კანონმდებლობის და წესდებისა.

კოოპერატიულ ამხანაგობაში უნდა იყოს არა ნაკლებ ხუთი წევრისა. (სესხის მიმცემ ამხანაგობაში არა ნაკლებ ორმოცდაათისა).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დაარსებისათვის არსებობს შემდეგი წესი:

კოოპერატიულ ამხანაგობის დამაარსებლებმა პირველ ყოვლისა უნდა მიმართონ მახლობელ კოოპერატიულ კავშირის საინსტრუქციო განყოფილებას. განყოფილების ინსტრუქტორი მოვალეა მისცეს მათ წესდება, საჭირო რჩევა-დარიგება და დაუნიშნოს ყრილობის დღე.

ყრილობაზე მოწვეული უნდა იყოს ყველა მსურველი, რომლებსაც აუხსნიან ამხანაგობის მიზანს და წინადადებას მისცემენ მსურველებს ჩაეწერონ წევრებად.

ჩაწერილები ითვლებიან ამხანაგობის დამფუძნებლებათ, რომლებიც ირჩევენ დროებით გამგეობას და ნიშნავენ საწევრო გადასახადს.

შემდეგ ამისა, დამფუძნებლები დასწერენ განცხადებას კავშირში წარსადგენათ, რომელიც იზრუნებს ამხანაგობის დამტკიცებაზე და სიაში ჩასაწერად.

განცხადება იწერება დამფუძნებლების სახელით. განცხადებას და წესდებას აწერს ხელს ხუთი კაცი. ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ხელისუფლების მიერ, რომელიც კრებას ესწრება.

ამხანაგობის დამტკიცების შემდეგ, დამფუძნებლები შეუდგებიან მოქმედებას.

წესდება იშოვება კოოპერატიულ კავშირში.

წესდებაში ცხადათ უნდა იყოს ნათქვამი, თუ რა ხასიათის ამხანაგობა არსდება: სამომხმარებლო, სესხის მიმცემი თუ სხვა.

რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას.

ეჭვი არაა, რომ კოოპერატიული მოძრაობა დაბადებულია თვით ცხოვრების მოთხოვნილებით. ის თანდათან ვითარდება და მტკიცე საფუძველი ეყრება მას, თუმცა ჯერ მას არ ჩაუთრევია თავის საქმეში იმ ხალხის უმრავლესობა, რომლისთვისაც არის ის დანიშნული.

მაგრამ იმასაც, რაც გაკეთებულა აქამდე, დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ხალხის მეურნეობისათვის.

კოოპერაცია—ეს არის ერთ-ერთი გზა, რომელმაც უნდა გაანთავისუფლოს დღეს მშრომელი ხალხის უმრავლესობა ყოველგვარ ცარცვა-გლეჯისაგან.

კოოპერაცია აჩვევს მშრომელ ხალხს მოაწყოს თავისი მეურნეობა ისე, როგორც მისი ინტერესები მოითხოვენ, აჩვევს თვით-მოქმედებას, ამხანაგურად შრომას, შრომის და ქონების განსაზოგადოებას.

ეს არის ახალი გზა სახალხო მეურნეობის გარდაქმნისა.


განსაკუთრებით ჩვენი სახელმწიფოს პირობებში კოოპერაცია ერთად-ერთი გზაა სოფლის მეურნეობის წინ წასაწევათ და განსავითარებლად, სადაც შეიძლება გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღების ფართედ გამოყენება და ადამიანის მძიმე ტვირთისგან განთავისუფლება და იმავე დროს კერძო კაპიტალთან ბრძოლა.

ეს არის ერთ-ერთი გზა სოციალიზმში შესასვლელად.

ნ. თხინვალელი.

თვალით უხილავი ჩვენი მტერ-მოყვარენი.

ავიღოთ ერთი წვეთი წყაროს, ჭის ან მდინარის წყალი და გავსინჯოთ გამადიდებელი შუშით, მიკროსკოპით (იხილე სურათი № 1.) გამადიდებელი შუშა დაგანახვებთ, რომ ამ ერთ წვეთ წყალში აუარებელი მოძრავი ცოცხალი არსებები ყოფილა დაბუდებული. ამ არსებებს ეწოდებათ **მიკროსხეულები** (მიკრობი). ასეთი სახელწოდება მიტომ მიაკუთნეს, რომ უბრალო თვალით არ შეიძლება მათი დანახვა, ზედმეტი სიმცირისა გამო. თვით სიტყვა **მიკრო-პატარას** ნიშნავს.



თანამედროვე მიკროსკოპი. (სურ. № 1.)

მაშასადამე, მიკრობი იმდენათ მცირე სხეულია, რომ მისი დანახვა პირდაპირ თვალით არ შეიძლება, აქ უსათუოთ საჭიროა მიკროსკოპი.

როგორც ზევით ვთქვით, მიკრობის ნახვა შეიძლება ყოველგვარ წყალში; მისი ნახვა შეიძლება პირის ღრუდან ამოღებულ ნერწყვში, მიწაში და სხვ. **ერთი სიტყვით, მიკრობი ყველგან არის.**

მიკრობს, როგორც ყველა ცოცხალ სხეულს, კვება ესაჭიროება. ამ საჭირო საკვებს ღებულობენ ისინი იმ საგნიდან, სადაც ცხოვრობენ.

მიკრობები სამ უმთავრეს ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1) არის **მიკრობები**, რომლებიც ადამიანს არც **სარგებლობას და არც ზარალს აძლევენ** (ამათ ნასწავლი ხალხი საპროფიტებს უწოდებს).


2) **მიკრობები**, რომელთაც შეუძლიათ გადამდები სენის გაჩენა და

3) **მიკრობები**, რომლებსაც ადამიანისათვის სარგებლობა მოაქვთ.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ, რომ ყურძნიდან მიღებული ტკბილი ჯერ უნდა ადუღდეს, დამაჭრდეს და მერე ღვინოთ იქცეს, მაწონი რძის შედედებით კეთდება, პურის ცომს გაღუება ესაჭიროება და სხვ. ყოველივე ეს თავის-თავად უმიზეზოთ როდი ხდება.

აქ სწორეთ ის პაწაწა არსებები მუშაობენ, რომლებსაც მეცნიერები მიკრობებს ეძახიან. ასეთი მიკრობები სასარგებლო მიკრობებია.

გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ ადამიანის ნაწლავებში აუარებელი რიცხვია მიკრობების, მათის შემწეობით სწარმოებს საჭმლის მონელება, ესეც სასარგებლო მიკრობებია.



მიკრობების სხვადასხვა ფორმა

ეხლა გადავავლოთ თვალი ჩვენს ეზო-გარემოს.

ვთქვათ, აქ სადმე წაადექით თავზე რომელიმე შინაური ცხოველის ლეშს. მკვდარი ცხოველის ლეში—ეს ყველამ ვიცით იხრწნება-ლპება.

აქაც ეს პატარა, თვალით უხილავი არსება მუშაობს. ეს მიკრობები, რაც ჩვენ ჩამოვთვალეთ, თითქმის ყველა ადამიანის სასარგებლო საქმეს აკეთებენ, მაგრამ ყველა მიკრობი ასეთი როდია, არის ისეთები, რომლებიც ადამიანს ვნებასა და ზარალს აყენებენ.

ეხლა განვიხილოთ მეორე ჯგუფის **მიკრობი.**

ესენი არიან გადამდები სენის გამომწვევი მიკრობები.

წინეთ ასე ამბობდენ, ავადმყოფობა თავისთავად ჩნდებაო, სოფლათ ავადმყოფობის მიზეზათ ავსა და ბოროტ სულს ასახელებდენ ხოლმე. მა-


გრამ დღეს დამტკიცებულია, რომ თვითეულ ავადმყოფობას თავის გამომწვევი მიკრობი ყავს. ეს მიკრობები ისე, როგორც სხვა დანარჩენები, ყველგან მოიპოვებიან.

ადამიანი რომ ავად გახდეს, ამისათვის საჭიროა ამ ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობი შეიჭრას სხეულში.

ეს სხვა და სხვა გზით ხდება.

აი, მაგალითად, ადამიანმა ხელი გაიჭრა ან გაიკაწრა. ჭრილობაში ციმბირის ჭირის (ხუზარა) გამომწვევი მიკრობი მოხვდა, ადამიანს ციმბირის ჭირი შეეყრება.

ვთქვათ, დილით ბავშმა ხიდან ჩამოცვივნილი ვაშლი ან მსხალი შეჭამა. სწორეთ ამ მსხლის ქვეშ გუშინ მეორე ბავში იყო, რომელსაც მუცლის ტიფი სჭირს. ბავშმა დააბინძურა ხეხილის ქვეშ მიწა. ვაშლი გაბინძურებულ ალაგას მოხვდა. სიბინძურეში ტიფის გამომწვევი მიკრობიც იყო, ვაშლთან ერთად ის მოხვდა კუჭში, კუჭიდან ნაწლავებში, აქ კი ავადმყოფობა გამოიწვია.



სურათზე დახატულია სხვადასხვა მიკრობი. ბოლოებზე აქვთ შოლტები. ამ შოლტებით აწარმოებენ ისინი მოძრაობას.

ვთქვათ, თქვენ მეზობლის ცოლს ჭლექი სჭირს, მეზობელიაო და არავინ არ ერიდება, არც ის ერიდება. როცა ჭლექიანი ახველებს — პირიდან პატარ-პატარა წინწკლები ამოსდის. ამ წინწკლებში არის ჭლექის გამომწვევი მიკრობები.

ის ჩაჰყვება შესუნთქულ ჰაერს ფილტვებში და იქ **გამოიწვევს ჭლექს**.

ერთი სიტყვით, მიკრობი ან პირიდან, ან ცხვირიდან, ან კანიდან და ან სხვა რომელიმე გზით შეიჭრება ადამიანის სხეულში. შესვლისთანავე ის დაიწყებს გამრავლებას, რამოდენიმე საათში მილიონებათ გადაიქცევა, გამოყოფს შხამს. შხამი წამლავს ადამიანს, ასუსტებს და თუ კაცი მარჯვეთ არ იქნა, წუთისოფელს გამოესალმება.

როგორ უპასუხებს ჩვენი სხეული ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს.

ადამიანის სისხლში არის თეთრი ბურთულები. ასეთი სახელი მიეტომ ეწოდებათ, რომ ფერად თეთრია და მოყვანილობით ბურთისებურია. ეს ბურთულები შენიშნავენ თუ არა სენის გამომწვევ მიკრობის მოსვლას, მაშინვე წაესევიან მას. შეიქმნება ბრძოლა მიკრობსა და თეთრ ბურთულებს შორის. გამარჯვებული ის დარჩება, ვინც ძლიერია.


ამიტომ საჭიროა ადამიანმა თავს მოუაროს.

სუსტი ადამიანი ადვილად გახდება ავადმყოფობის მსხვერპლი; ძლიერი მოერევა მას. ჯანსაღობისათვის საჭიროა სისუფთავის დაცვა და წესიერი ცხოვრება. ჩვენში ამას ყურადღების არავინ აქცევს.

ბევრი ბოროტად იყენებს ღვინოს, ყოველ დღე თითო ბოთლს მაინც დალევს, რომ კითხოთ, ცოტას ვსვამთო, იტყვის, თუმცა ერთი ბოთლი ცოტა კი არაა, ბევრზე ბევრია. დღეში ერთი ბოთლის დამლევი კაცი ლოთია.



ათაშანგის გამომწვევი მიზეზი. მას უწოდებენ მძრთალ სპიროხეტას.



შავი ჩხირები არის ჭლექის გამომწვევი მიკრობი. სურათი გაკეთებულია ჭლექით ავადმყოფის ნახველისაგან.

ლოთობა კი სენის ამხანაგია — ჩვენი მტერი და დამლუპველია.

მაგრამ განა ცოტაა ჩვენში ისეთი ადამიანი, რომელსაც წარამარა ღვინო აქვს პირზე მიყუდებული? არის ისეთები, რომლებიც საზოგადოთ არა სვამენ, მაგრამ ნახავს თუ არა ღვინოს, შიგ ჩაიხრჩობა. თავს არ დაანებებს, სანამ ადამიანის მზგავსება არ დაეკარგება. ამაში ჩვენ ველურებზე წინ ვერ წავსულვართ, იმათაც ასე იციან.

ვისაც სურს ჯანმრთელი იყოს, მან ღვინო და სხვა მაგარი სასმელი ცოტა უნდა სვას, თუ სულ არ დალევს, ეს ხომ სულ უკეთესი.

ღვინო წამლავს ადამიანს; ასუსტებს სხეულს და ხელს უწყობს ავადმყოფობას.

მარტო თეთრი ბურთულების ბრძოლა არ კმარა.

საჭიროა თვითონ კაციც **მიეშველოს საკუთარ თავს.** ეს მიშველება წამლის მიღებაში გამოიხატება.

ჩვენ ხალხს ცუდი წარმოდგენა აქვს წამლობაზე.

სოფლელს როცა ვინმე გაუხდება ავად, მაშინვე მკითხავსა და სოფლის ექიმბაშს მიმართავს. რასაკვირველია, არც მკითხავს და არც სოფლის ექიმბაშებს წამლობისა არა გაეგებათ-რა.

ავად რომ გახდე, მათ კი არა, **ექიმს უნდა მიმართო.**

ექიმმა იცის ავადმყოფობის გამოცნობა; მან იცის, რა სენს როგორ უნდა უწამლო, ის გამოგიწერს წამალს; მოგცემს საჭირო დარიგებას.

წამალი წამლად — წამალია, ისე კი შხამია.

როცა სოფლად ვინმე ავად გახდება და ექიმი წამალს გამოუწერს, ჰირისუფალი ავადმყოფსაც ასმევს და კარგა მყოფსაც. რომ შეეკითხოთ, რათა შვები ესეო, გეტყვით:

„— წამალია, თუ არ მოუხდება, ხომ არ აწყენსო!"

ასევე იციან ძველ მორჩენილ წამალზე. ,,მეც თავი მტკიოდა, ეს დავლიე და მომიხდა, შენც დალიე და მოგირჩებაო''.

ეს არ არის სწორი. წამალი მაშინ იმოქმედებს, როცა მას როგორც რიგი და წესია ისე მოვიხმართ.

თუ ექიმმა სუფრის კოვზით დაავალა დალევინება, რომ ავადმყოფს ჩაის ჭიქით ვასვათ, მაშინ წამალი ავადმყოფს ავნებს და არ არგებს. ერთი ავადმყოფის წამალი მეორეს არ მოუხდება, ამიტომ ავადმყოფმა, ან მისმა ჰირისუფალმა ექიმს უნდა მიმართოს და არა სოფლის ექიმბაშს, რომელიც თიხის ნალესით და სარტყელის გამოზომვით ფიქრობს სენიდან განკურნებას.


— ე.

კოლო—ანოფელესი და კიებ-ცხელება—მალარია

კოლო ეკუთვნის ორფრთა მწერების ჯგუფს. ის გავრცელებულია მთელ დედა-მიწის ზურგზე, გარდა შორეული ჩრდილოეთისა.

მწერების ნიშნობლივ გარეგნულ თვისებას შეადგენს მათი ტანის აგებულება: თავი, გულმკერდი, მუცელი და გარდაქმნა (მეტამორფოზი).

გარდაქმნას ახასიათებს ის გარემოება, რომ მწერების კვერცხებიდან ორი-სამი დღის განმავლობაში, თუ შესაფერი სითბოა, გამოიჩეკება ხოლმე მატლი, რომელიც გამოჩეკის 18—22 დღის შემდეგ გარდიქმნება **ბოჟოთ,** რომლისგანაც დაახლოვებით 3 დღის განმავლობაში გამოდის დასრულებული მწერი.



დედალი კოლოს საჩხვლეტი იარაღი.

ორფრთიან მწერების ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ორი ფრთა, რომლებიც მათ ასხიათ შუა გულმკერდზე.

გულმკერდის სამივე ნაწილზე (წინა გულმკერდზე, შუა გულმკერდზე და უკანა გულმკერდზე) აქვს თითო წყვილი ფეხი.

უკანა გულმკერდზე კოლოს ასხია ორი ბზუალა, რომლებიც წარმოადგენენ დაკნინებულ ფრთებს.

კოლოს ახასიათებს მრავალი სახე, რომელიც აღმატება ათასს. ხოლო ამხანად ჩვენ გვაინტერესებს კოლოს ის გვარი, რომელსაც **ანოფელესი** ეწოდება. ეს არის ის კოლო, რომელიც ავრცელებს კიებ-ცხელებას—მალარიას და ამიტომ ამ ანოფელესს მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას.

კოლოთა შორის ანოფელესი განირჩევა ხორთუმით და საშინჯებით.

ანოფელესი ერთად-ერთი გვარია, რომელსაც ჯდომის დროს ბოლო ზევით აქვს აშვერილი და უკანა ფეხები ძირს დაშვერილი.


სხვა კოლოებს კი მთელი ტანი ცოტათ მოღუნული უჭირავთ იმ ალაგის მიმართულებით, რომელზედაც სხედან, და უკანა ფეხებიც ზემოთკენ აქვთ აშვერილი.

ადამიანსა და ცხოველებს (უმეტესად ძაღლს) ჰკბენს ხოლმე დედალი კოლო ანოფელესი, მამალი კი იკვებება მცენარეებისა და ნაყოფების წვენით.

მამალი ანოფელესი განირჩევა დედლისაგან ბუსუსებიანი ულვაშებით, რომლებიც მამლების თუთხმეტ ნაწევრიანია და დედლების კი თოთხმეტ ნაწევრიანი.

ამ ულვაშების ნაწევრების ძირში დედლებს ასხია მოკლე და იშვიათი ბუსუსები, ხოლო მამლებს გრძელი და ხშირი.

ულვაშებ შუა და მათ ქვეით კოლოს აქვს საკბენი იარაღი ანუ ხორთუმი, რომლის გვერდებზედაც ამოსულა ორი **საშინჯი**.



მამალი კოლო.



კოლო ბოჟოდან იჩეკება.

ანოფელესს ეს საშინჯები იმავე სიგრძისა აქვს, როგორც ხორთუმი, სხვა კოლოების საშინჯები ხორთუმზე მოკლეა.

ხორთუმი შესდგება შვიდი ნაწილისაგან: წყვილი ზედაყბა, წყვილი ქვედაყბა, პატარა ენა, ზედატუჩი და ქვედატუჩი, რომელიც წარმოადგენს მთელი ამ აგებულობის ბუდეს.

ზედატუჩი და საყლაპავი მილის გაგრძელება შეადგენს სისხლის საწოვ მილს. ქვედატუჩი და პატარა ენა შეადგენს ნერწყვის მილს, რომელიც ძევს საწოვი მილის ქვეით.

კოლო კვერცხს სდებს მდინარის ნაპირზე, ტბაში, შემთხვევითს და მუდმივ აუზში და გუბეში, ტბორეში, ტლაპოში, ყოველგან, საცა წყალი მოიძებნება და თვით ნესტიან ნიადაგშიაც.


ანოფელესი კვერცხის დასადებად ეძებს წმინდა წყალს. იგი დააჯდება რომელსამე საგანს (ფოთოლს, შტოს), ჯვარედინათ დადგამს უკანა ფეხებს და ამრიგად სდებს კვერცხებს.

ანოფელესის კვერცხი თითოეულად დასცურავს წყალის ზედაპირზე იმ დროს, როცა სხვა კოლოების კვერცხები მიკრულია ერთიმეორეზე და შეჯგუფულნი წარმოადგენენ პატარა ნავის სახეს, რომელიც დასცურავს წყლის ზედაპირზე.

დედალი ანოფელესი წლის განმავლობაში კვერცხს სდებს სამჯერ-ოთხჯერ და შეიძლება მეტჯერაც, ხოლო ამ ხანში **მისი კვერცხებიდან გამოიჩეკება რვა მილიონი კოლო**; აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მრავლდება ეს მწერი და რა ძნელია მისი გაწყვეტა.



ჭია კოლო სხვადასხვა მდგომარეობაში.



დედალი კოლო კვერცხს სდებს.

ყველას გენახვებათ ჭებსა და გუბეებში ფრიად მოძრავი შავი მატლი, რომელიც კლაკვნით ადი-ჩადის წყალში. ეს გახლავთ კოლოს მატლი, რომელიც ხშირად ამოდის წყალის ზედაპირზე ჰაერის ჩასასუნთქად. სასუნთქი იარაღი ანოფელესს აქვს ძლიერ მოკლე და ამიტომაც ეს მატლი წყალის ზედაპირზე წევს გასწვრივ; ხოლო სხვა კოლოთა მატლებს სასუნთქი იარაღი მოწყობილი აქვთ ტანის ბოლოზე გრძელი მილის სახით და ამიტომაც წყალის ზედაპირზე ჰაერის შესასუნთქავად ამოსვლის დროს ისინი თავდაყირა დაკიდებულნი არიან.

ბოჟოდ გადაქმნამდე მატლი ხშირად იცვლის ხოლმე კანს და ვიდრე მთავარ მწერათ გადიქმნებოდეს, წყალში სცხოვრობს.

მაგრამ გადიქმნება თუ არა ფრთაშეხსმულ კოლოთ, ანოფელესი სტოვებს წყალს და მიაშურებს ადამიანის ბინისაკენ, სადაც ჭერქვეშ, ბნელ კუთხეში, აბლაბუდაზე ატარებს დროს იმის მოლოდინში, როჟ როგორმე იგემოს ადამიანის სისხლი.

კოლო საზოგადოდ ვერ უძლებს შემოდგომისა და ზამთრის სუსხს და ზამთარში თავის გამოსატანად იგი იძულებულია თავი შეაფაროს ადამიანის თბილ ბინას, სადაც დამაკებული დედალი კოლო ზამთრის ძილში ატარებს დროს, რათა გაზაფხულის სითბოსთან ერთად გავიდეს

გარეთ, მოსძებნოს შესაფერი წყალი და დასდოს კვერცხი ახალი თაობის გამოსაჩეკად, რადგან ძველი თაობა უკვე მიწათ აქცია შემოდგომის სუსხმა.

თუ მოიგონებთ, რომ თვითეული დედალი კოღო რვა მილიონამდე კოღოს გამოჩეკავს გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში, ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა უამრავი კოღო ჩნდება და იხოცება ყოველწლივ.

კოღო ღამის ნადირია. დღე და ღამის გაყრის დროა მისი განთიადი. იმ დროს, როცა საღამოობით კარებისა და სარკმლის გაღებასთან ერთად უბრალო კოღო ოთახებიდან მიესწრაფება სუფთა ჰაერისაკენ, ანოფელესი, პირიქით, შედის ბინებში და ჰკბენს ადამიანს.



კოღოს კვერცხები ჯგუფათ.



ცალკე კვერცხი ძალიან გადიდებული

„მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო“, სცოდნია ანოფელესსაც და ამიტომ იგი ჩუმათ ეპარება ადამიანს სისხლის გამოსაწუწნად. მოგეხსენებათ, შემპარავი ძაღლი ყოველ ძაღლზე უარესიაო და ანოფელესიც ყოველ კოღოზე უარესიც და მავნებელიც არის ადამიანისთვის, რადგან, როგორც ზევით მოგახსენეთ, იგი არის ერთად-ერთი კოღოების გვარი, რომელიც თავის სხეულში ზრდის და ანვითარებს ციებ-ცხელების მომგვრელ პარაზიტს და შემდეგ, კბენის დროს, აუცრის ხოლმე ამ საშინელსა და საშიშარ სენს ადამიანს.

ხოლო, ვიდრე სხვას მოსდებდეს ციებ-ცხელებას, ანოფელესმა თვითონ უნდა მიიღოს თავის სხეულში ამ სენის პარაზიტი. და იგი მიიღებს ამ პარაზიტს მაშინ, როცა ციებ-ცხელებიან ადამიანს დაჰკბენს.

დაკბენის დროს ციებ-ცხელების პარაზიტი ჩადის ანოფელესის კუჭში და იქ არა თუ არხეინად საზრდოობს, არამედ ვითარდება და საუცხოვო ბინას ჰპოულობს ანოფელესის ნერწყვის ჯირკვლებში, საცა იგი მოსვენებით იმყოფება, ვიდრე კვლავ ადამიანის სისხლის მილებში არ ამოჰყოფს თავს და იქ არ განაგრძობს თვის ბუნებრივ განვითარებას.

ეს კი ხდება ხოლმე მაშინ, როცა ამ პარაზიტის მტარებელი ანოფელესი უკბენს ადამიანს და თვისი ნერწყვის საშუალებით აუცრის მას ამ პარაზიტს.

ამგვარია ამ პარაზიტის გზა, ადამიანიდან კოღო ანოფელესამდე და ანოფელესიდან ადამიანამდე. და ვიდრე ციებ-ცხელების (მალარიის) პარაზიტი და კოღო ანოფელესი არ მოისპობა და არ აღიგავება დედა-მიწის პირისაგან, ვერც ადამიანი მოიშორებს თავიდან ამ საშიშარ სენს.

ეს დიდათ საგულისხმოა ჩვენთვის, რადგან ჩვენი რესპუბლიკა კიდით-კიდემდე მოცულია ამ სენით, მაღალი მთების გარდა.

ექიმი ელიაშვილი.

რა ამგვარია სხვა ქვეყანაში.

მსოფლიო ომმა ქვეყნიერებაზე ბევრი ცვლილება მოახდინა: ზოგი სახელმწიფო გაღარიბდა, ზოგი გამდიდრდა, შეიცვალა სახელმწიფოს საზღვრები, ზოგი გაფართოვდა, ზოგი დაპატარავდა. ცეცხლმა შთანთქა ხალხის უთვალავი ქონება, ამოიჟლიტა რამოდენიმე მილიონი მშრომელი ხალხი, დასახიჩრდა კიდევ მეტი და სხვ.

ვინ მოსთვლის ყველა იმ საშინელებას, რაც იმ საოცარმა ომმა კაცობრიობას თავს დაატეხა.

ომი გამოიწვიეს მეფეებმა და მშრომელი ხალხის მტრებმა—კაპიტალისტებმა. მათ სურდათ კიდევ მეტი სიმდიდრე, ფუფუნება, არ ენაღვლებოდათ მუშისა და გლეხის სიცოცხლე და სისხლის ღვრა, ხალხის ტანჯვა არაფრათ მიაჩნდათ.

რა ჰქონდათ საომარი და საჩხუბარი ერთი სახელმწიფოს გლეხს და მუშას მეორე სახელმწიფოს მუშასთან და გლეხთან?

არაფერი. და მათზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, არც იჩხუბებდენ, ომი არ იქნებოდა.

მაგრამ სახელმწიფოების სათავეში იყვენ **მეფეები, ღენერლები, მდიდარი ხალხი**, ძალა-უფლება მათ ჰქონდათ ხელში და მშრომელი ხალხიც იძულებული გახადა ერთი მეორეს შესეოდა.

თვითონ ისინი კი კიდევ უკეთეს ცხოვრებას ატარებდენ, კიდევ მეტს ფუფუნებაში იყვნენ, ომის გაჭირვება და საშინელება მათ არაფრათ უგრძვნიათ.

მუშების და გლეხების ჟლეტა-ხოცვამ და ომის საშინელებამ ოთხი წელიწადი გასტანა.

კაცობრიობის ისტორიას არაფერი იმის მსგავსი არ ახსოვს, რაც მსოფლიო ომმა მოახდინა.

გერმანიის მეფეს სურდა ქვეყნიერება დაეპყრო; მედიდური მეფე ვილგელმი მეორე მთელ თავის სიცოცხლეში საომრათ ემზადებოდა, მისი სული და გული ზარბაზნებში, თოფებში და ტყვია-წამალში ტრიალებდა.

ზარბაზნების გამკეთებელი ქარხნების პატრონი კრუპი გერმანიაში ვილგელმის დროს პირველი კაცი იყო.

კრუპი თავის უზარმაზარ ქარხნებში მილიონობით ამზადებდა შორს მტყორცნელ ზარბაზნებს და ამაფეთქებელ მასალებს.

გერმანიის მუშებს და გლეხებს კი შრომა და ოჯახის მოვლა ყველაფერს ერჩიათ, მაგრამ მათ ვინ რას კითხავდა?

მეფეს და მის ღენერალებს ჰქონდათ ძალა-უფლება და იარაღი, ამისათვის მათ ხალხი მიუსიეს მეზობელ სახელმწიფოებს, ყოფილ რუსეთს აღმოსავლეთით და ბელგიას და საფრანგეთს დასავლეთით.

ვილგელმს და მის მომხრეებს ეგონათ, ორ სამ თვეში გავიმარჯვებთ და გაფართოებულ სახელმწიფოში კიდევ უფრო ხელგაშლილათ ვიცხოვრებთო.

ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ომი გაჭიანურდა, გამწარებული ხალხი აჯანყდა. სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგენ **სოციალ-დემოკრატები**, სახელმწიფოს პრეზიდენტათ სოციალ-დემოკრატი **ებერტი** დააყენეს, ეგონათ ხალხს რამე ეშველებოდა, მაგრამ მოსტყუვდენ.

სოციალ-დემოკრატები ვერ გამოდგენ ხალხის მომხრე; ისინი ისევ მდიდრებს მიეჯრენ და მუშისა და გლეხის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

საქმეში ჩაერიენ კომუნისტები; საქსონიაში ძალა-უფლება მათ ჩაიგდეს ხელში, იქ ხალხმა თავისუფლათ ამოისუნთქა. მაგრამ ეს არ მოეწონათ სოციალ-დემოკრატებს, გაგზავნეს ჯარი, დაატყევევეს კომუნისტები და იქაც კაპიტალისტებისათვის სასარგებლო ძალა-უფლება დაამყარეს.

კომუნისტები თავდაუზოგავად იბრძოდენ ყველგან გერმანიაში: მათ სურდათ გლეხისა და მუშის გამარჯვება, მაგრამ სოციალ-დემოკრატები დაუკავშირდენ სხვა ბურჟუაზიულ პარტიებს და მათ შეერთებულის ძალით დასძლიეს კომუნისტები.

გერმანიაში საქმე იქამდის მივიდა, რომ პრეზიდენტ ებერტის გარდაცვალების შემდეგ, ვილგელმ მეორის ღენერალი, მისი ერთგული მოსამსახურე **ჰინდენბურგი** აირჩიეს პრეზიდენტათ.

ასე უკულმა დატრიალდა დროებით გერმანიის ბედი სოციალ-დემოკრატების წყალობით.

მეფე გერმანიაში გადაგდებულია, მაგრამ ძალა-უფლება ისევ მდიდარ ხალხს აქვს ხელში.

ამას-წინათ იქ მუშები აღშფოთებული იყვნენ პურზე დიდი ბაჟის დადებით და პროტესტის გამოსაცხადებლად ქუჩებში დემონსტრაცია მოახდინეს, პოლიცია მათ თავს დაესხა, ბევრი მოჰკლეს და უფრო მეტი დასჭრეს და დააპატიმრეს.

ომმა გერმანია საშინლათ დასწია უკან. მას აუარებელი ხარკი შეაწერეს, ჩამოსჭრეს საუკეთესო ნაწილები—ელზას-ლოტარინგია, სილეზია, წაართვეს ყველა ახალ-შენები, აუკრძალეს ჯარის ყოლა და იარაღის დამზადება.

ერთი სიტყვით, ყოველი ზომებია მიღებული, რომ გერმანია სამუდამოთ იქნეს სილატაკეში და წელი ველარ წამოიღოს.

* * *

საფრანგეთი ვითომც გამარჯვებული გამოვიდა ომიდან, მაგრამ ნამდვილათ ისიც გაღატაკებულია. განადგურებულია მისი საუკეთესო საშეურნეო კუთხეები. ომში დაეხოცა აუარებელი ახალგაზრდობა. საფრანგეთს უთვალავი ვალები დააწვა კისერზე.

განა საფრანგეთის მუშა და გლეხი შეაკვდებოდა გერმანელ მუშასა და გლეხს?

სრულიადაც არა.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობას სათავეში კაპიტალისტები უდგენ.

თითონ მათ ომისაგან გაჭირვება არ მისდგომიათ, მათ ფუფუნებას არაფერი დაკლებია.

საფრანგეთშიაც არსებობს კომუნისტური პარტია. ისინი სასტიკათ ებრძვიან საფრანგეთის მთავრობას, რომელიც სასტიკათ სჩაგრავს და ავიწროებს მუშებსა და გლეხებს.

სოციალ-დემოკრატები იქაც მშრომელ ხალხს გადაუდგენ და მდიდრებს ეხმარებიან.

მათ რომ ჰკითხოთ,—„სოციალისტები ვართ, ხალხს ვემხრობითო".

ამას წინათ ერრიომ დაიკვეხა: მე მუშების და გლეხების მომხრე ვარო. ასეთი ლაპარაკით ერრიომ იმდენი მოახერხა, რომ მთავრობის თავმჯდომარეობა იშოვა, მაგრამ არც ამით გამოსწორებულა საქმე.

მან საქმე ისევ ძველებურათ წაიყვანა.

ერრიომ ვერც ერთი დანაპირები ვერ შეასრულა; მის დროს საშინლად დაეცა ფულის ფასი. შემდეგ ერიო გადადგა. მის მაგივრათ ისეთი ხალხი ჩაუდგა სახელმწიფოს, რომლებსაც მუშებისა და გლეხებისათვის მაინცადამაინც გული არ შესტკივათ.

ვერც მათ ხელში მიდის საქმე წინ: ფულის ფასი თანდათან ეცემა, ხალხს უფრო მეტი და მეტი იძულება ადგება—გაუმჯობესება არსაით სჩანს.

სხვათა შორის საფრანგეთი ამჟამათ აპირობს ერთი პატარა ქვეყნის დაპყრობას, ამ ქვეყანას **მაროკოს** უძახიან.

გამოცხადებულია ომი და აუარებელ ფულს ხარჯავენ.

რას ერჩიან მაროკოს მშრომელ მცხოვრებლებს ფრანგები? ბარემ რომ ფრანგი მუშები და გლეხები თითსაც არ წააკარებდენ მაროკოელებს, მაგრამ აქაც კაპიტალისტების სასარგებლო საქმის გასაკეთებლათ იხოცება ხალხი და იღვრება სისხლი.

საფრანგეთის კომუნისტები თავდადებით მოითხოვენ, რომ თავი დაანებონ მაროკოს. მაგრამ მთავრობას გვერდში უდგია სოციალისტებათ წოდებული მენშევიკები, ისინი კი ომის გაგრძელებას მოითხოვენ.

ინგლისმა კარგათ მოითბო ხელი მსოფლიო ომში. ინგლისის მშრომელი ხალხი ბევრი გაიჭლიტა ომში, მაგრამ ამას რას დაგიდევენ იქაური მეფე, ლორდები და სხვა დიდებულები.

ლოიდ-ჯორჯი, მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარე, მართალია, ხალხის ხოცვა-ჟლეტვას არ უფრთხილდებოდა, მაგრამ მან ისეთი ოსტატობა იხმარა, რომ ხარჯების გაწევას თავი მოარიდა და უფრო „ფულით“ გაუწია დახმარება საფრანგეთს.

ომის გათავების შემდეგ ისიც კი მოხდა, რომ „სოციალისტი“ **მაკდონალდი** ამოირჩიეს მთავრობის თავმჯდომარეთ, ესეც ისეთი სოციალისტია, როგორც გერმანიისა და საფრანგეთის მენშევიკები. მუშების და გლეხების სასარგებლო მას არაფერი გაუკეთებია. კაპიტალისტები მას ისე ატრიალებდენ, როგორც მოესურვებოდათ.

ბოლოს მაკდონალდს მოხერხებულათ გამოსდევს კვანტი და მთავრობის სავარძელი მიატოვებინეს, მთავრობას სათავეში ისევ კაპიტალისტებისა და თავად-აზნაურების პარტია ჩაუდგა ინგლისში. მათ **კონსერვატორებს** უძახიან. ახლა ისინი არიან ინგლისის ბატონ-პატრონები; არაფერი არ კეთდება მუშისა და გლეხის სასარგებლოდ. ერთად-ერთი პარ-

ტია, რომელიც იბრძვის აქ ხალხის კეთილდღეობისათვის, ეს არის ინგლისის კომუნისტური პარტია; კომუნისტური პარტია იქ თანდათან იზრდება.

ბალდვინი—მთავრობის თავმჯდომარე და მისი მინისტრები ერთობ სცდილობენ რომ საბჭოთა კავშირთან საქმე გაამწვავონ და იქნებ ომიც აგვიტეხონ ჩვენ, მაგრამ ინგლისის მუშები და ინგლისის კომუნისტური პარტია კრიჭაში უდგას კონსერვატორების მთავრობას და გასაქანს არ აძლევენ მას.

* * *

პოლონეთი საფრანგეთის ნამდვილი ფინია ძაღლია. ის საფრანგეთისაგან ღებულობს ყოველგვარ დახმარებას და ბატონის ნება-სურვილის გარეშე ვერაფერს გაბედავს.

ომისა და რევოლიუციის შემდეგ ის რუსეთს გამოეყო, მას საზღვრები გაუფართოვეს და ახლა დიდ სახელმწიფოთ მოაქვს თავი.

მაგრამ პოლონეთის მთავრობის საქმე მაინც ცუდათ მიდის. ხაზინა დაცარიელებულია, შემოსავალმა იკლო, ფულის ფასი თანდათან ეცემა.

იქ მთავრობის სათავეში თავადები და მდიდრები არიან და მათ უმზვავსობას საზღვარი არ აქვს: გლეხები და მუშები კიდევ უფრო დაიჩაგრენ, პოლონეთში ამ ჟამათ გამწარებული ბრძოლაა მუშებისა და მთავრობის შორის. მთავრობამ აუარებელი გამცემლები და ჯაშუშები აიჩინა მუშათა ორგანიზაციების დასანგრევათ, მაგრამ ამ ჯაშუშებს მუშები უბედურ დღეს აყენებენ, თუ სადმე მიიმწყვდიეს უსიკვდილოთ არ გადაურჩებათ. სამაგიეროთ მთავრობა სასტიკათ სჯის ყველას, ვინც ჯაშუშებს ხელს შეახებს. ამ უკანასკნელ კვირეების განმავლობაში პოლონეთში ზედიზედ ოთხი მუშა დახვრიტეს ასეთი საქმეებისათვის.

პოლონეთის ხაზინა მუდამ ცარიელი იყო, მუდამ საფრანგეთის იმედით ცხოვრობდა, ეხლა საფრანგეთსაც შემოაკლდა საფანელი და პოლონეთს რაღა ერგება.

პოლონეთის პანები (იქაურ წარჩინებულ წოდების ხალხს უძახიან) გააფთრებულათ ებრძვიან კომუნისტებს, **მიუხედავათ ამისა, კომუნისტების გავლენა თანდათან იზრდება და მატულობს.**

პოლონეთის მუშების მდგომარეობა საშინელია. გლეხების კიდევ უარესი. არ იცის კაცმა, როდემდე აპირობს პოლონეთის მთავრობა ასეთ მდგომარეობაში ყოფნას. ჩვენ კი ვიცით, რომ არც ერთი მთავრობა,

რომელსაც მუშები და გლეხები გადამტერებული ჰყავს, დიდ ხანს ვერ გასძლებს.

* * *

ჩინეთში დიდი ამბებია!

ჩინეთის ხალხის ბრძოლას აღტაცებაში მოჰყავთ მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი. დადუმებული, დაბეჩავებული ჩინეთის გლეხი და მუშა აღსდგა, ამეტყველდა, ის აღარ ყაბულობს ძველებური— ევროპიდან ჩასული კაპიტალისტების უღელის ტარებას.

ამ ბოლო დროს ჩინეთში განუწყვეტლივ ხდება გაფიცვები. მუშები მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას. მართლაც რომ საშინელ მდგომარეობაში არიან ჩინელი მუშები. მათთვის არ არსებობს დასვენება, კვირა უქმე დღე გასწორებული აქვთ. დღე და ღამე მუშაობენ, მხოლოთ საჭმელის ჭამის დროს თუ ამოითქვამენ სულს. მუშაობს დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ხელფასი იმდენი ეძლევათ, რომ ხმელ პურზე არ ჰყოფნის.

ერთ დროს ჩინეთში მუშების მოძრაობას ჩინელი ვაჭრები და მდიდრებიც უჭერდენ მხარს. ვინაიდან ევროპის კაპიტალისტებს ისინიც დიდ შევიწროებაში ჰყავთ, მაგრამ ეხლა ეს მდიდრები და ვაჭრები ისევ გვერდზე გადგენ და მუშების წინააღმდეგ ზარბაზნებს აგრიალებენ.

ჩინეთში არ არის ისეთი პარტიები, როგორც ჩვენში, ან ევროპაში არის რამოდენიმე პარტია, რომელიც ერთი მეორეს ებრძვის ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. მუშებისა და გლეხების ქომაგათ გამოდის ერთ-ერთი პარტია **გომინდანი, რომელსაც სუნიატსენი მეთაურობდა.**

სუნიატსენის სახელი ჩვენს მკითხველებს გაეგონებათ. ეს დაუღალავი მებრძოლი და მშრომელი ხალხის გულითადი მეგობარი წრეულს გაზაფხულზე გარდაიცვალა.

გომინდანი მაინც განაგრძობს თავის დიდებული მასწავლებლისა და ხელმძღვანელის **სუნიატსენის** მიერ დაწყებულ საქმეს.

იმედია, რომ ოთხას მილიონიანი ჩინეთი ჩქარა დალეწავს მონობის ჯაჭვებს და საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთან ერთათ მიჰყოფს ხელს ახალ თავისუფალ ცხოვრების მოგვარებას.

პასუხისმგებელი რედაქტორი: კოლეგია.

გაზეთ „ახალი სოფლის გამოცემა.

გლეხებო! არ დაივიწყოთ თქვენი

გაზეთის

„ახალი სოფელი“-ს

განწერა.

„ახალი სოფელი“

საგლეხო გაზეთია,

გლეხის ინტერესებს

დამცველი.

გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ.

წელიწადში ღირს ერთი მანეთი.

თითო ცალი 4 კაპ.

მისამართი: ტფილისი, ვოლოდარსკის ქუჩა, № 11,

„ახალი სოფელი“.

ა 9846
1925

ფასი 20 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ს. კ. პ. (ბ.) ცენტრალურ კომიტეტის ყოველთვიურ ორგანოზე

„სოფლის კომუნისტზე“

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ლ. ქართველიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ვ. ბახტაძე, გ. მუშიშვილი.

ჟურნალში უმთავრესად ადგილი ეთმობა სოფლად პარტიულ მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების გაშუქებას.

ხელის მოწერის პირობები:

1 თვით 20 კ. 3 თვით 50 კ. 6 თვით 1 მ. ერთი წლით 2 მ.

ცალკე ნომერი 20 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება გაზ.

„ახალი სოფლი“-ს

კანტორაში (ვოლოდარსკის ქ. № 11).

რედაქციის მისამართი: ტფილისი, საქ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი. სააგ.-საპროპაგანდო განყოფილება. ტელ. 1—88.